ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 15 ივლისი, 2019 №165 (8119) ფასი: 60 თეთრი

კოშმარი ბათუმი-ქობულეთის გზაზე

გვ.7

3 მინივენი დაეჯახა ერთმანეთს. დაიღუპნენ არაბი ცოლ-ქმარი და მათი ბიჭი

9 ივლისიდან
ჯეიმს ფონიმორ კუპერი
ჯაშუში
„მე მიყვარს კითხვა“
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

დატოვებს თუ არა გიგი უგულავა „ევროპულ საქართველოს“

გვ.3

რას ერჩის ბოკერიას პარტია მელიას

განხეთქილება ოპოზიციაში

დავით უსუფაშვილი: „ქვეყანას სჭირდება კოალიციური ხელისუფლება, რომელსაც არც ბიძინა მართავს და არც მიშა“

გვ.4

„ერთ-ერთ ელჩს ვესაუბრე და გახარიას ქმედება სწორად არავის აღუქვამს“

ჯელალ ქიქავა: „ივანიშვილი დასავლეთთან ქონების შენარჩუნებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს“

გვ.2

გიგა ბუკია: „რუსებს არც უკანალი უნდა მიუშვირო და არც უნდა ეკეკლუცო“

გვ.3

სამართალი გვ.7

ბაჩო ახალაია სტრასბურის სასამართლოს მიმართავს

„გოგო ხარ თუ ბიჭი?!“



მაჩაბლის ქუჩაზე მოზარდებმა ბიჭი გრძელი თმის გამო ცემეს

საგარეჯოში საზამთროთი სავსე სატვირთო ოპელს დაეჯახა და ამოტრიალდა

ეკონომიკა გვ.6

საქართველოდან ექსპორტირებული მინერალური და მტკნარი წყლების თითქმის ნახევარი რუსეთში გადის

მოქალაქეს უძრავ ქონებას სახელმწიფო იძულების წესით ჩამოართმევს

რა პერიოდიდან შეგეძლებათ „პრავის“ აღება?



ISSN 1987-9385

5 გედევან ფოფხაძე: „ოცნების“ რღვევა ძალიან სწრაფად მოხდება“

8 მანჰეტენი 5 საათის განმავლობაში ჩაბნელდა

7 რუსთავში 3 წლის ბიჭი პირველი სართულის ფანჯრიდან გადავარდა

8 აშშ თურქეთს სანქციებს დაუწესებს

„ივანიშვილი დასავლეთთან ქონების შენარჩუნებაზე მოლაპარაკებებს აწარმოებს“

შორენა მარსაგიშვილი

„არჩილ თალაკვაძე ირაკლი კობახიძეზე უარესია“

ჯელალ ქიქავა: „ოლიგარქი ისეთ დღეშია, რომ მანქანით ვეღარ გადაადგილდება“

რა პრობლემები აქვს ივანიშვილს, რა მოთხოვნებს უყენებს მას დასავლეთი, რატომ ზის ციხეში სინამდვილეში მერაბიშვილი? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ნაციონალური მოძრაობის წევრი ჯელალ ქიქავა ესაუბრება.

ჯელალ ქიქავა:

– მიმაჩნია, რომ ოლიგარქის დასამარცხებლად მარტო თბილისში გამართული აქციები საკმარისი არ არის. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ მას შეკვეთილშიც შევუქმნათ დისკომფორტი.

ისევე, როგორც თბილისში პარლამენტის წინ, შეკვეთილში ივანიშვილის რეზიდენციასთან ყოველდღე ვაწყობთ აქციებს. არ არის იოლი ასატანი, როცა შენი სახლის შესასვლელში ხალხი ყვირის და აქციებს აწყობს.

ჩვენმა აქციებმა შედეგი უკვე გამოიღო, ოლიგარქი მანქანით ვეღარ გადაადგილდება. სამი დღის წინ შეკვეთილის რეზიდენციაში ვერტმფრენით დაფრინდა.

– ვერტმფრენით რატომ დაფრინდა?

– მანქანით, უბრალოდ, ვერ შევიდოდა – ყველა შესასვლელი პარალიზებული გვაქვს.

– გადაკეტილი გაქვთ იქაურობა?

– კარვები დგას და იქ მოშიმშილე ახალგაზრდები არიან. ამას დაამატეთ ყოველ საღამოს გამართული აქციები და შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა დისკომფორტს განიცდის ოლიგარქი.

– რით გამოიხატება, რომ დისკომფორტს გრძნობს? ამ დღეებში ის დონალდ ტუსკს შეხვდა, მასთან ერთად ფოტოც გადაიღო, სადაც ბედნიერად და ამაყად გამოიყურება.

– ფოტო არაფერს ნიშნავს. ტუსკთან ისეთ სახეს ვერ მიიღებდა, მიშველე რაცხაო. ასეთი იმიჯი მას არაფერში სჭირდება, განსაკუთრებით ახლა.

ახლა ის ვაჭრობს და უფლება არა აქვს, ჩასვრილი ბავშვის სახე ჰქონდეს. პოლიტიკური ვაჭრობისას ჩასვრილის სახე თუ მიიღე, ბოლომდე ჩაგასვრევინებენ. ამასაც ამიტომ აქვს ბედნიერი სახე. ჩემი მტერი იყოს ისეთი ბედნიერი, როგორც ახლა ეგ არის.

– ამბობთ, ივანიშვილი ვაჭრობსო. რაზე ვაჭრობს ან ვის ევაჭრება?

– რაზე ვაჭრობს? რაზე ივაჭრებს, თავის ქონებაზე.

– ვისთან ვაჭრობს, ოპოზიციასთან?

– ოპოზიციასთან არა.

– აბა ვისთან?

– დასავლეთთან. როგორც ჩვენამდე ხმა მოვიდა, ამგენს პირდაპირ უთხრეს, მთელი შენი ქონების დეკლარირება უნდა მოახდინოო, რის შემდეგაც ქუდი უნდა დაიხუროს და წავიდეს.

მას შემდეგ, რაც ქონების დეკლარირებას მოახდენს, მას ასე იოლად და თავის ნებაზე კი ვეღარ გამოიყენებს.

– რა ქონებაზეა საუბარი, რაც აქვს თუ რაც ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ საქართველოში შეიძინა?

– მთელ ქონებაზეა საუბარი. დეკლარაციის შევსებაზე რომ მიდგება საქმე, იქ ყველაფერი უნდა ჩაწეროს.

– მას ხომ აქვს შევსებული დეკლარაცია?

– მერე? იქ ყველაფერი კი არ უწერია. ახლა მოუწევს ჩაწერა. ძალიანაც არ უნდა ამის გაკეთება, მაგრამ მოუწევს.

– დარწმუნებული ხართ, რომ მოუწევს?

– მოუწევს, თან ძალიან მალე. მოუწევს იმიტომ, რომ მას სხვა გამოსავალი არ აქვს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისი დრო გადის.

– რას ნიშნავს, მისი დრო გადის?

– საქართველოში ორჯერ მეტი ვადით არც ერთი ხელისუფლება არ ყოფილა. ივანიშვილის ხელისუფლებაც სადაცაა, მეორე ციკლს დაასრულებს და წასასვლელად უნდა მოემზადოს.

– მარტო იმიტომ უნდა წავიდეს, რომ მეორე ვადაც ამოწურა? ხალხმა თუ ისევ აირჩია „ოცნება“?

– ქართველი ხალხი „ოცნებას“ კიდევ ერთხელ აღარ აირჩევს. ეს ამბავი გამორიცხულია.

– რატომ არის გამორიცხული?

– იმიტომ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ კარგად იცის თავისუფლების ფასი, ხოლო ვინც ამის ფასი იცის, ის რუს ოლიგარქს მხარს არ დაუჭერს.

არ დაგვავიწყდეს ახალი თაობაც. ისეთი ახალგაზრდობა წამოვიდა, რომელსაც კომუნიზმი არა აქვს გამოვლილი. ისინი ცოტა სხვანაირად ფიქრობენ. მათთვის დასავლური ღირებულებებია მხოლოდ მისაღები. სააკაშვილს ძალიან უნდოდა, რომ ახალგაზრდები დასავლურ იდეალებზე გაზრდილიყვნენ. მან ამას დიდი ძალისხმევა მოახმარა.

– ამბობთ, სააკაშვილს უნდოდა, ახალგაზრდები დასავლურ იდეალებზე გაზრდილიყვნენო, ხელისუფლების მტკიცებით კი საქართველოს მესამე პრეზიდენტსა და მის გარემოცვას ამ ზაფხულს გადატრიალების მოწყობა უნდოდათ.

– ეს არის მორიგი სისულელე. რაც არ უნდა ფაქტები გააყალბონ და ხმაურიანი განცხადებები გააკეთონ, არავინ დაიჯერებს, რომ ჩვენ გადატრიალების მოწყობა გვინდოდა. ამის მტკიცებულებად იმის მოყვანა, რომ პარლამენტში ვაპირებდით შეჭრას, მთლად სისულელეა.

ეს მთავრობა უკვე ძალიან ბევრ სისულელეს ამბობს და მაგათთვის უკეთესი იქნება, თუ ცოტა ხანს გაჩუმდებიან.

– რატომ არის სისულელე იმის თქმა, რომ პარლამენტში შეჭრით გადატრიალების პროცესი დაიწყებოდა?

„ყველამ კარგად იცის, რომ აქციის დროს პარლამენტში ხალხის შევარდნა გადატრიალებას არ ნიშნავს. ეს მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ არ ესმის. არ ესმით იმიტომ, რომ ტვინი არ აქვთ თავში“

– შევხედოთ, რა ხდება მსოფლიოში და მერე ვილაპარაკოთ. ახლახან იყო არეულობები ჰონგ-კონგში. ლამის მთელი ჰონგ-კონგი შეიჭრა ქვეყნის პარლამენტის შენობაში, მაგრამ მეორე დღეს ყველა გამოიყვანეს.

– თქვენ ვერანაირ პრობლემას ვერ ხედავთ იმაში, თუ პარლამენტში ხალხი შეიჭრება?

– შეჭრას გააჩნია. იარაღითა და სისხლისღვრით ამის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ, როცა მღელვარებაა, მაშინ ასეთი რამეები უცხო არ არის. არც საქართველოში მოხდებოდა რამე, თუ რამდენიმე ადამიანი შევიდოდა პარლამენტში. შევიდოდნენ და უკან გამოვიდოდნენ ცარიელი შენობიდან.

ყველამ კარგად იცის, რომ აქციის დროს პარლამენტში ხალხის შევარდნა გადატრიალებას არ ნიშნავს. ეს მხოლოდ „ქართულ ოცნებას“ არ ესმის. არ ესმით იმიტომ, რომ ტვინი არ აქვთ თავში.

იმდენად სულელები არიან, რომ მსოფლიოს აჯერებენ, რამდენიმე კაცი პარლამენტში აპირებდა შევარდნას, გადატრიალება რომ მოეწყოთო.

გადატრიალება რომ გვდომებოდა, 60.000 კაცი ვიდექით რუსთაველზე და მაშინ გავაკეთებდით ამას.

– როდის იყავით ამდენი?

– ბევრჯერ ვიყავით ბევრი გამოსული, მაგრამ გადატრიალების მოწყობა თავში არავის მოსვლია. ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლა არის მიუღებელი და ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს.

გადატრიალებები ნებისმიერი ქვეყნისთვის ცუდია, საქართველო კი კიდევ ერთ გადატრიალებას ვეღარ გადაიტანს. ჩვენ ამ ქვეყნის პატრიოტები ვართ და ამიტომაც არასდროს წავალთ ამ ნაბიჯზე. მიგვაჩნია, რომ ხელისუფლება მხოლოდ არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს.

ნაციონალური მოძრაობა რომ ხელისუფლებას ძალადობით არ ჩაიგდებს ხელში, ეს 2012 წლის არჩევნებმაც დაადასტურა. მაშინ ამ პარტიამ აღიარა არჩევნებში დამარცხება და ოპოზიციაში გადავიდა.

– თქვენ ითხოვთ შს მინისტრის გადადგომას. გახარია უნდა წავიდეს, მაგრამ ზაქარია ქუცნაშვილსა და ირაკლი კობახიძეზე რატომ არ იღებთ ხმას? გავრილოვის ღამის მოწყობაში მათაც დიდი წვლილი შეიტანეს.

– ვინ არიან ირაკლი კობახიძე და ზაქარია ქუცნაშვილი, რომ მაგენთან დავიწყოთ ჭიდაობა. არც ერთი წარმოადგენს რამეს და არც მეორე. ჩვენ უნდა ვებრძოლოთ ბოროტების სათავეს. სად გვაქვს იმის დრო, რომ ამგენს ცალ-ცალკე ვდიოთ. თან ცოტანიც არ არიან.

– რამდენნი არიან?

– მარტო პარლამენტში 92 უნამუსო ზის.

– ვის გულისხმობთ უნამუსოებში?

– იმათ, ვინც ნიკა მელიას სადეპუტატო იმუნიტეტი მოუხსნა. ესენი ყველანი დასასჯელები არიან, მაგრამ მაგენის დევნისთვის არ გვცალია. თავიკაცი უნდა მოვიცილოთ და მორჩება ამათი ამბავიც.

– თავი თუ უნდა მოიშოროთ, გახარიას გადადგომას რატომ ითხოვთ? ამ ქვეყანაში მთავარი ივანიშვილია და, წესით, მის წასვლას უნდა ითხოვდეთ.

– აბა რას ვაკეთებთ ჩვენ? შეკვეთილში და თბილისში იმიტომ ვმართავთ აქციებს, რომ ოლიგარქს დისკომფორტი შეექმნას და იძულებული გახდეს, წავიდეს.

მთავარი ივანიშვილია, მაგრამ გახარიასაც ვერ დავტოვებთ ისე, რომ არ მოვიხსენიოთ. ეს კაცი გამოდგა ტუტუცი და ბავშვებს თვალები დასთხარა. მას არანაირი უფლება არა აქვს, მინისტრის პოსტზე დარჩეს.

– ანუ მიგაჩნიათ, რომ შს მინისტრი, რომელიც აქციას დაარბევს, უნდა წავიდეს?

– უნდა წავიდეს, გახარია უკვე წასული უნდა იყოს.

– ვანო მერაბიშვილზე რას გვეტყვით?

– რა უნდა გითხრათ, კაცი ციხეში ჰყავთ და არ უშვებენ.

– მაგას არ გეკითხებით. თუ გახარია ამ დარბევის შემდეგ უნდა გადადგეს, რატომ არ გადადგა მერაბიშვილი 2007 წლის დარბევის შემდეგ? მეტიც, სისხლიან ნოემბერს კიდევ ბევრი სისხლიანი დარბევა მოჰყვა, მაგრამ მერაბიშვილი 2012 წლის 1 ოქტომბრამდე იყო ხელისუფლების სათავეებში.

– ძალის გადამეტება ყოველთვის უნდა დაისაჯოს. ძალადობა მიუღებელია, მაგრამ, ისიც ხომ უნდა გავითვალისწინოთ. რა დრო იყო მაშინ. ამ ტუტუცმა გახარიამ კი ბავშვებს დასთხარა თვალები.

– თვალები ხალხს მერაბიშვილის დროსაც დასთხარეს და, როცა ამბობთ, გავითვალისწინოთ, რა დრო იყოო, რას გულისხმობთ?

– იმას ვგულისხმობ, რომ მაშინ საქართველო, როგორც სახელმწიფო, პირველ ნაბიჯებს დგამდა.

– და ამიტომ გამართლებულია თვალების დათხრა?

– თვალების დათხრა ვერასდროს იქნება

გამართლებული, მაგრამ, როცა სახელმწიფო პირველ ნაბიჯებს დგამს, მაშინ ასეთი შეცდომები ხდება ხოლმე. ვინც საქმეს არ აკეთებს, ის შეცდომასაც არ დაუშვებს. ამათ ის შეცდომები რომ არ დაეშვათ, ქვეყანას ვერ ააშენებდნენ.

– გახარია, რომელიც თქვენს თვალში ტუტუცია, ამბობს, რომ მან ძალა იმიტომ გამოიყენა, რათა ქვეყანა გადატრიალებისგან ეხსნა.

– ტუტუცია ეს კაცი, გეუბნებით და დაიჯერეთ, რა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მაგან რა იცის, გადატრიალება რა არის.

– კაცი შს მინისტრია და არ ეცოდინება?

– რაის შინაგან საქმეთა მინისტრი, საიდანღაც მოიყვანა ბიძინამ და დასვა. რა გადატრიალებებზე მელაპარაკება ეს შტერი გახარია, კაცი ომბუდსმენი იყო და ხელისუფლებისგან ხელფასს იღებდა.

– ომბუდსმენი არ ყოფილა, ბიზნესომბუდსმენი იყო.

იმდენად სულელები არიან, რომ მსოფლიოს აჯერებენ, რამდენიმე კაცი პარლამენტში აპირებდა შევარდნას, გადატრიალება რომ მოეწყოთო. გადატრიალება რომ გვდომებოდა, 60.000 კაცი ვიდექით რუსთაველზე და მაშინ გავაკეთებდით ამას“

– რაც არ უნდა ყოფილიყო, მნიშვნელობა არა აქვს. ეგ და დანარჩენი მინისტრები არიან ივანიშვილის მონები.

ამ მონებისგან განსხვავებით, მერაბიშვილი, მიშა, ახალაიები ქვეყანას აშენებდნენ. ასეთ დროს შეცდომები ჩვეულებრივი ამბავია. მათ იძალადეს კიდევაც და ამიტომაც გაუშვა ხალხმა ოპოზიციაში.

– ესენი რომ ხელისუფლებაში იყვნენ, თქვენ ხომ ოპოზიციაში იყავით?

– ოპოზიციაში ვიყავი.

– მაშინ ითხოვდით ამათ გადადგომას?

– ვითხოვდი.

– მაშინ თქვენ გქონიათ უფლება, გახარიას გადადგომა მოითხოვოთ. ის ხალხი, ვინც იმ წლებში მერაბიშვილის გუნდში იყო, სისხლიან დარბევებს ვარდისფერი სათვალით უყურებდა და, დღეს რომ შს მინისტრის გადადგომას ითხოვს, უხერხული არ არის?

– მოდით, ერთხელ და სამუდამოდ დავანებოთ ამ წარსულს თავი. მაშინ თუ რამე შეცდომა იყო დაშვებული, „ოცნებას“ უნდა გამოესწორებინა. მეშვიდე წელია, რაც ხელისუფლებაში არიან და გამოევლინათ დამნაშავეები.

დაიმახსოვრეთ, ამ საქმეებს არც არავინ გამოიძიებს. დღემდე არავინ იცის, სინამდვილეში რატომ ზის ციხეში ვანო მერაბიშვილი.

– 26 მაისის დარბევის გამო ზის.

– მიზეზი სულ სხვაა. მალე მას „ოცნების“ წევრები ჩაანაცვლებენ. პატარა ბავშვებისთვის მზის დაბნელება არავის შერჩება. სანამ მიზანს არ მივაღწევთ, არ გავჩერდებით.

ზაფხული ცოტა მკვდარი სეზონია, მაგრამ მაინც არ გავჩერდებით. ახლა თუ არ გავუშვით ეს ტუტუცი გახარია, შემოდგომაზე აუცილებლად გავისტუმრებთ. არჩევნების მერე ივანიშვილსაც თან მივაყოლებთ თავისი კობახიძე-თალაკვაძით.

ისე, რომ იცოდეთ, ეს თალაკვაძე კობახიძეზე უარესია.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიგა ბუკია: „რუსებს არც უკანალი უნდა მიუშვირო და არც უნდა ეკეკლუცო“

საქართველოს პარლამენტის შენობასთან გრძელდება ანტისაოკუპაციო მიტინგი. ამის პარალელურად, მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფები თუ პარტიები აწყობენ შეხვედრებსა და აქციებს, სადაც გაისმის, რომ ურუსეთოდ საქართველო დაიღუპება.

რა პროცესები მიმდინარეობს ქვეყანაში? რატომ მიაბა საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნის ტურისტული სფერო მოსკოვს? უნდა ჩასულიყო თუ არა ამ სიტუაციაში რუსეთში პატრიოტთა ალიანსი? ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა საქართველოს პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე გიგა ბუკიას.

„ამ მჯერა იმ პოლიტიკოსების, რომლებიც 90-იან წლებში საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლას მიესალმებოდნენ, ახლა კი კრემლს აგინებენ“

მარიამ მჭედლიშვილი

გიგა ბუკია:

– ანტისაოკუპაციო მიტინგი 20 ივნისიდან გრძელდება. ჩემთვის აბსოლუტურად გასაგებია იმ მოქალაქეების გაგულისება, რომლებიც გავრილოვის ფაქტს გამოეხმაურნენ. ხელისუფლებამ ამაზე თავისი შეცდომა აღიარა. ამის გამო გადადგა პარლამენტის თავმჯდომარე და მანდატის დატოვების თაობაზე განაცხადა ერთმა დეპუტატმა. ხელისუფლებამ ასევე გამოაცხადა საარჩევნო რეფორმა.

ამის შემდეგ ანტისაოკუპაციო აქციების გაგრძელება ცოტა გაუგებარი გახდა. სამწუხაროა, რომ ამ გულწრფელ პროტესტს იყენებენ ოპოზიციური ძალები. ამ ძალებს პარლამენტში შეჭრაც უნდოდათ. მათი მიზანია ესკალაციის გაგრძელება. სწორედ ამას ემსახურებოდა ნაცმოძრაობის პარტიული ტელევიზიით გიორგი გაბუნიას მიერ ჩადენილი საქციელი, რომელიც მორალის გაღმაა. ამ უზნეობას დაუპირისპირდნენ მოქალაქეები. ამის გარდა, ხალხი აღა შფოთა ნიკა გვარამიას გამონათქვამებმა ღვინოზე, რომელსაც ჩვენ ღვთიურ სასმელად ვთვლით. გვარამიას ეს განცხადება ისტერიკას ჰგავდა.

– მეღვინეები და სასტუმროების მფლობელები მარტო ამას არ აპროტესტებენ. ისინი რუსეთიდან შემოსავლების დაკარგვას მისტირიან. 2013-2018 წლებში საქართველომ რუსი ტურისტების მოსაზიდად 13 მილიონი ლარი დახარჯა, სხვა ქვეყნებში კი – ბევრად ნაკლები. ეს სწორი იყო?

– ხელისუფლებას სწორი გათვლა ჰქონდა. ჩვენი და რუსეთის ურთიერთობა ამით ხომ არ შემოიფარგლება! რუსეთის ოკუპაცია კი 2008 წლამდე დაიწყო. ოკუპაციის მიუხედავად, ხალხებს შორის ურთიერთობა არ უნდა გაფუჭდეს. რუსებისთვის საქართველო ყოველთვის მიმზიდველი იყო. ამიტომ ტურისტული მარკეტინგისთვის რამდენიმე წელიწადში 13 მილიონი კი არა, შეიძლებოდა, მეტიც დახარჯულიყო. რუსეთის მოქალაქეებმა გაიხსენეს საქართველო და აღადგინეს მასთან კავშირი. მათთვის საქართველოში კომუნიკაციის დამყარებაც იოლია, ისევე, როგორც სომეხი, აზერბაიჯანელი ან ყაზახი სტუმრებისათვის.

ეკონომიკა და კულტურა ცალკე უნდა დავაყენოთ, ხოლო პოლიტიკა თავისი პრობლემებით – ცალკე. რადიკალიზმი აქ მისაღები არ არის. ხალხთა ურთიერთობა სახალხო დიპლომატიაა. საქართველოში ნასიამოვნები სტუმარი ჩავა თავის სამშობლოში და ჩვენი ლობისტი გახდება. ეს ხელს შეუწყობს პრობლემების მოგვარებას.

– ევროპელებს რატომ არ ვიზიდავთ ასეთი მონდომებით?

– ევროპელებსაც ვიზიდავთ, მაგრამ ევროპელი ტურისტი საქართველოს ისე კარგად არ იცნობს, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყნების მოქალაქე. ვიზალიბერალიზაცია ევროპასთან ამ ხელისუფლების გამარჯვებაა. ევროპასთან უფრო მჭიდრო კავშირი გვინდა. სამწუხაროდ, ჯერ მთელ ქვეყანაში არ გვაქვს ის საუკეთესო მომსახურება, რომელსაც ევროპელები არიან მიჩვეული. მარტო ბუნების სანახავად ევროპელები არ ჩამოდიან.

– ამ დაძაბულ სიტუაციაში მოსკოვში ჩავიდა საქართველოს პატრიოტთა ალიანსის სამკაციანი დელეგაცია. ეს ოპოზიციური პარტია რუსეთში პირველად არ გამგზავრებულა.

– ეს სწორ საქციელად არ მიმაჩნია. როგორც ნაცმოძრაობა ცდილობს ქულების მოგროვებას დაძაბულობის დროს, ისე პატრიოტთა ალიანსი იყენებს შექმნილ მდგომარეობას თავის სასარგებლოდ. როცა გარე საფრთხეა, ყველანი უნდა გავერთიანდეთ. ასე იყო 2008 წელს.

– როცა ხელისუფლების კრიტიკაზე მორატორიუმი გამოცხადდა?

– დიახ. მაშინდელ ოპოზიციას სათქმელი გვქონდა, მაგრამ ის სიტუაცია საჩვენოდ არ გამოგვიყენებია. მე ჩემი 17 წლის ვაჟთან ერთად რეგისტრაცია გავიარე კომისარიატში და ჩვენ საბრძოლველად წავედით. ახლაც არ არის მოსკოვთან კეკლუცობის დრო. რადიკალიზმი არც ერთ მხარეს არ ვარგა – რუსებს არც უკანალი უნდა უჩვენო და არც უნდა ეკეკლუცო. ოქროს შუალედს უნდა მივყვეთ.

– 14 ივლისს გავრცელდა რუსეთის დუმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ სლუცკის კომენტარი. იგი აცხადებს, რომ სანამ საქართველოში ახლანდელი ხელისუფლებაა, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები ვერ დალაგდება.

– რუსეთის პოლიტიკოსებიც სარგებლობენ შექმნილი მდგომარეობით. რუსეთს არ უნდა ძლიერი, სტაბილური და ეკონომიკურად აყვავებული საქართველო. არც სხვა მეზობლებისთვის არის მიზანი საქართველოს ძლიერება. ყველგან კონკურენციაა. გეოგრაფიას ვერ შევცვლით. საქართველოს ხელისუფლებას სწორი – დასავლური გზა აქვს არჩეული. ის რუსეთის მიმართ თავდახრილი არ არის. ამიტომაც იმსახურებს იქიდან კრიტიკას.

ყველა ხელისუფლება იცვლება. საინტერესოა, როგორ მოიქცევიან ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ის პოლიტიკოსები, რომლებიც ახლა ოპოზიციაში ასე უპასუხისმგებლოდ იქცევიან! რუსეთთან ისედაც პრობლემები გვაქვს. იმისთვის, რომ ჩვენ მიმართ მწვავე განცხადებები აკეთონ, ამ სახელმწიფოს პოლიტიკოსები საბაბს ეძებენ. რა გასაკვირია, რომ ამ ფონზე ასეთი განცხადებები ისმის.

ჩვენი ოპოზიციონერების ყალბი პათეტიკაც მაოცებს. ახალგაზრდებმა მათი წარსული არ იციან. არ მჯერა იმ პოლიტიკოსებისა, რომლებიც 90-იან წლებში საქართველოში რუსეთის ჯარის შემოსვლას მიესალმებოდნენ და წინ მოუძღვებოდნენ, ახლა კი რუსეთს აგინებენ.

ასეთები სტაბილურობისთვის არ იბრძვიან.

დატოვებს თუ არა გიგი უგულავა „ევროპულ საქართველოს“

რას ერჩის ბოკერიას პარტია მელიას

შორენა მარსაგიშვილი

ოპოზიციის რიგებში არსებული უთანხმოება უკვე თვალშისაცემი გახდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თანაპარტიელები ერთმანეთს ფეისბუქპოსტებითა და მედიისთვის მიცემული კომენტარებით ელაპარაკებიან.

ნაციონალებსა და „ევროპულ საქართველოს“ შორის რამდენიმე წლის წინ მოხდა განხეთქილება და ისინი ოფიციალურად გაიყარნენ. „ევროპულ საქართველოში“ ის ხალხი გაწევრიანდა, ვინც პარტიის თავმჯდომარეობიდან მიხეილ სააკაშვილის გადადგომას ითხოვდა. ნაციონალებში მამალი მიშისტები დარჩნენ.

„ევროპული საქართველოს“ რიგებში აღმოჩნდა ციხიდან ახალგამოსული თბილისის ყოფილი მერი გიგი უგულავა. ამის გამო ის ნაციონალებმა მრავალგზის შეაჩვენეს, მაგრამ ამ დღეებში ისე წავიდა საქმე, მის მზეს ნაციონალები ფიცულობენ, ევრონაცები კი გმობენ.

ახლო მომავალში გიგი უგულავამ შეიძლება „ევროპული საქართველო“ დატოვოს. ნაციონალებში ის ალბათ არ შევა, ამბობენ, რომ შეიძლება ნიკა მელიასთან ერთად შექმნას პარტია.

მელიას ნაციონალებიდან წამოსვლაზეც ბევრს საუბრობენ. 20 ივნისის ამბავი რომ არა, მას შეიძლებოდა, უკვე დაეტოვებინა პარტია. აღსანიშნავია, რომ ის ნაციონალებში ერთადერთია, ვინც სააკაშვილის საწინააღმდეგო აზრის გამოხატვას ღიად ბედავს.

თანაპარტიელებისგან განსხვავებული პოზიციების დაფიქსირება დასჩემდა გიგი უგულავასაც. 20 ივნისის მოვლენების შემდეგ აშკარაა, რომ მისი და ბოკერიას გზები გაიყო.

სამაგიეროდ, ის და ნიკა მელია დაახლოვდნენ. 20 ივნისის ღამესაც ერთნაირ სიტუაციაში იყვნენ. „ევროპული საქართველო“ ამ დუეტს სწორედ ამ ღამის გამო უყენებს პრეტენზიებს.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა ოთო კახიძემ სოციალურ ქსელში დაწერა, რომ ნაცმოძრაობის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარეს, ნიკა მელიას, არ უნდა გაეკეთებინა პროვოკაციული და სრულიად უპასუხისმგებლო მოწოდება პარლამენტის ეზოში „მშვიდობიანად შესვლის“ თაობაზე.

კახიძის განცხადებას მალევე გამოეხმაურა უპასუხისმგებლოდ შერაცხული ნიკა მელია. ნაცმოძრაობის ლიდერის თქმით, ისრების გადატანა არასწორია, რადგან დღეს მთავარი სამიზნე ივანიშვილია.

– საზოგადოებისთვის ცნობილია ოთო კახიძის განცხადება, სადაც ის წერს, რომ ნიკა მელიას არ უნდა გაეკეთებინა პროვოკაციული და სრულიად უპასუხისმგებლო განცხადება პარლამენტის ეზოში „მშვიდობიანად შესვლის“ თაობაზე. შემდეგ ოთო კახიძის პათოსი სრულად გაიზიარა გიგა ბოკერიამ.

ოთო კახიძეს, რომელმაც პროვოკატორად გამომაცხადა უაპელაციოდ, პასუხი გუშინვე გავეცი ერთ-ერთი პოსტის კომენტარებში და, ვინაიდან მეტს აღარ ვაპირებ, პასუხი გავცე მათ განცხადებებს, თქვენის ნებართვით, გავიმეორებ იმას, რაც იმ დღესვე მოვახსენე ბატონ კახიძეს.

დიახ, მე რა განცხადებებიც ვაკეთე იმ დღეებში, სრულიად მაქვს გააზრებულიც და გასიგრძეგანებულიც. მათი განცხადებები კი, როცა საარჩევნო პერიოდი არაა და ერთმანეთის პირდაპირ კონკურენტებს არ წარმოვადგენთ, როგორღაც პარტიულ კბენებზე უნდა ამაღლდეს და მეტიც, ბანს არ უნდა აძლევდეს და ექოსავით არ უნდა იმეორებდეს იმას, რასაც ეს ხელისუფლება გაიძახის, – წერს ნიკა მელია ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

მისი თქმით, ოპოზიცია ფრთხილად უნდა იყოს, რომ ცალკე მწვადის, ცალკე შამფურის გაფრთხილებაში თეთრი ხელთათმანები არ გაგვემუროს.

მან გაიხსენა ისიც, თუ როგორ ლანძღავდა კომპარტია ეროვნული მოძრაობის ლიდერებს 1989 წლის 9 აპრილის შემდეგ.

– ვწერდი, რომ იმ პირველ დღეებში ხშირად ვამბობდი იმას, რომ 9 აპრილის შემდეგ კომპარტიის პროპაგანდა ეროვნული მოძრაობის ლიდერებს აბრალებდა სწორედ უპასუხისმგებლო, პროვოკაციული განცხადებების კეთებას და, შესაბამისად, სისხლისღვრას-მეთქი. ოთო კახიძეს დავუწერე კიდეც, „ცოტაც და შენზეც იგივეს მათქმევინებ. უბრალოდ, ის კომპარტია იყო და შენ ოპოზიციაში ხარ“. დღეს ეს, ოთოს გარდა, უკვე სხვებსაც ეხება, სამწუხაროდ.

დიახ, უწყვეტი კადრების გამოქვეყნების შემდეგ ხელისუფლებას პროპაგანდა დაენგრა,

ჩემს დასაჭერად სხვა საყრდენებს ეძებს და სამწუხაროა, რომ ჩემი კოლეგები თავიანთი განცხადებებით ამ შემთხვევაში მაშველ რგოლებად (იმედია და მჯერა, მართლაც უნებლიეთ) ევლინებიან ბიძინას რეჟიმს.

მეტ კომენტარს მე ამ თემაზე არ გავაკეთებ! ისრების გადატანა არასწორია – დღეს მთავარი სამიზნე ივანიშვილია და ეს ყველას უნდა ესმოდეს!“ – წერს მელია.

ოთო კახიძის პოზიცია გაიზიარა გიგა ბოკერიამაც. მისი თქმით, მელიას მიმართ წაყენებული ბრალდებები სამართლებრივად არის სრული აბსურდი.

– პოლიტიკურად კი უტიფარი მცდელობა, მოიხსნან პასუხისმგებლობა, რაც მთლიანად ივანიშვილის ხელისუფლებას და, პირველ რიგში, გახარიას ეკისრება. მაგრამ, ამავდროულად, მთლიანად ვიზიარებ ოთარ კახიძის პოზიციას, რომ მელიას განცხადება პოლიტიკურად უპასუხისმგებლო იყო.

ამ ტიპის განცხადებები, სხვა ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, სულ მცირე, ივანიშვილს უადვილებს პროპაგანდას. ჩემი აზრით, ნაციონალური მოძრაობა ამ სამართლიან კრიტიკას უნდა შეეგუოს ან არ შეეგუოს და აწარმოოს ამაზე დისკუსია, – განაცხადა ბოკერიამ.

განხეთქილება ოპოზიციაში

მისივე თქმით, 20 ივნისის ღამესთან დაკავშირებით ოთარ კახიძემ ყველა აქცენტი ზუსტად დასვა.

ბოკერიას განცხადებით, საზოგადოების მთავარი სამიზნე არის ივანიშვილის ხელისუფლება.

– მინისტრი გახარია უნდა გადადგეს არჩევნებამდე, ივანიშვილის ხელისუფლება მთლიანად კი უნდა დავამარცხოთ შემდეგ პროპორციულ არჩევნებში, – აღნიშნავს ბოკერია.

კახიძის განცხადებას გიგი უგულავაც გამოეხმაურა. მელიას მსგავსად, უგულავამაც 9 აპრილი გაიხსენა და კახიძე შემოეკრიტიკა.

– 9 აპრილის შემდეგაც პირველი ოფიციალური ხაზი იყო ეროვნული მოძრაობისთვის, მათი ლიდერებისთვის გადაბრალება, ამ მიმართულებით დისკუსიების გადატანა. აქედან დაწ-

„რუსთაველზე დარბევასა და მის მიზეზებზე საზოგადოებას ყოველთვის ერთი დამნაშავე ჰყავდა და ეს ხელისუფლება იყო. ახლაც ასე იქნება. პოლიტიკოსები ყველაფერზე ვკამათობთ, თუმცა, სანამ ხალხისთვის 20 ივნისის ტრაგედია ჯერ ძალიან ღია ჭრილობაა, როცა მთავრობა ჯერ კუდიანებზე ნადირობს, კინკლაობა და ხელის გაშვერა ძალიან ცუდად გამოიყურება. ამ დისკუსიის დროც მოვა, მაგრამ არა ახლა“

ყებული ეგ ნაცადი ხერხი გახდა. პროტესტის მოტივისგან დამოუკიდებლად, მუდმივად იყო რუსთაველის პერიპეტიების ოპოზიციისთვის გადაბრალების მცდელობები (ზოგჯერ ლეგიტიმური საფუძვლებითაც), მაგრამ არასდროს არაფერი გამოვიდა.

რუსთაველზე დარბევასა და მის მიზეზებზე საზოგადოებას ყოველთვის ერთი დამნაშავე ჰყავდა და ეს ხელისუფლება იყო. ახლაც ასე იქნება.

პოლიტიკოსები ყველაფერზე ვკამათობთ, თუმცა, სანამ ხალხისთვის 20 ივნისის ტრაგედია ჯერ ძალიან ღია ჭრილობაა, როცა მთავრობა ჯერ კუდიანებზე ნადირობს, კინკლაობა და ხელის გაშვერა ძალიან ცუდად გამოიყურება. ამ დისკუსიის დროც მოვა, მაგრამ არა ახლა, – აცხადებს უგულავა.

დავით უსუფაშვილი: „ქვეყანას სჭირდება კოალიციური ხელისუფლება, რომელსაც არც ბიძინა მართავს და არც მიშა“

„ერთ-ერთ ელჩს ვესაუბრე და გახარიას ქმედება სწორად არავის აღუქვამს“

იაგო ნაცვლიშვილი

რა გვითხრა გახარიამ ინტერვიუში, რატომ გარია 20-21 ივნისის აქციის დარბევაში შს მინისტრმა ელჩები, რას ფიქრობს ამ მოვლენებთან დაკავშირებით, რა აქვს სათქმელი ოპოზიციიდან მის მიმართ წამოსულ კრიტიკაზე, ვისთან ითანამშრომლებს პარლამენტში, რამდენად თანმიმდევრულია საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში და რა უნდა გააკეთოს საქართველომ პუტინის მიერ ისტორიის გაყალბების მცდელობაზე? – ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „შენების მოძრაობის“ ლიდერი, პარლამენტის ექსსპიკერი დავით უსუფაშვილი საუბრობს.

– მოვისმინეთ შს მინისტრ გიორგი გახარიას ინტერვიუ 20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მისი განცხადებებიდან?

– გახარიას ინტერვიუდან ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ხელისუფლება არასწორად ცდილობს, 20-21 ივნისის მოვლენები სახელმწიფო გადატრიალებად წარმოაჩინოს. 20 ივნისის ღამეს, როდესაც პოლიციის კორდონის გარღვევის მცდელობას ჰქონდა ადგილი, მე მაშინვე საჯაროდ და ღიად განვაცხადე, რომ ამ მშვიდობიანი დემონსტრაციის ეს ეპიზოდი უკვე გასცდა კანონის ჩარჩოებს, ასეთი მოქმედებები არ უნდა იყოს და დაბრუნდეს ყველაფერი კანონის ჩარჩოებში. დღესაც ამას ვიმეორებ.

მაგრამ ამ მოქმედებებს და იმ ყველაფერს, რასაც ხელისუფლებისგან ვისმენთ, რომ დაერქვას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა, სახელმწიფო ხელისუფლების ძალადობრივი გზით დამხობა, ხელისუფლების ხელში ჩაგდების მცდელობა და ა. შ. ეს არის ხელისუფლების პიარაქცია, რომლის განხორციელებაც პროკურატურას და შსს-ს არათუ არ ეკადრება, არამედ კონსტიტუციით ეკრძალება.

სამწუხაროდ, პირიქით ვხედავთ. მცდელობაა, რომ რაც შეიძლება მეტი ადამიანი შეშინდეს იმ ძალადობაზე, რასაც ხელისუფლება ახორციელებდა და ადამიანებმა დახუჭონ თვალები. მხედველობაში მაქვს არაპროპორციული და გადამეტებული ძალის გამოყენება, რასაც ჩვენ თვალს ვადევნებდით მთელი ღამის განმავლობაში.

– შსს-ს და პროკურატურის წარმომადგენლები კონსტიტუციას არღვევენ?

– როდესაც ადამიანს ბრალს წაუყენებ წინასწარ იმ დანაშაულისთვის, რაც მას არ ჩაუდენია, ეს არ შეიძლება. სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოწერილია ბევრი საქმე, რა ტიპის დანაშაულები შეიძლება ჩაიდინონ ადამიანებმა – პოლიციისადმი დაუმორჩილებლობა, ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა, არის ცალკე მუხლი, რომელიც ლაპარაკობს სტრატეგიულ ობიექტებში შეღწევაზე და უამრავი სხვადასხვა დანაშაული შეიძლება იყოს ჩადენილი, მაგრამ ხელისუფლების და გახარიას მცდელობა, რომ სახელმწიფო გადატრიალებად დააკვალიფიციროს ის, რაც ჩვენ ვნახეთ და თვითონვე ამბობს, რომ თვითონაც არ იცოდნენ, რისთვის შედიოდნენ და რა უნდა გაეკეთებინათო, ისაა სწორედ ხელისუფლებისთვის შეუფერებელი ქმედება და ამით ცდილობენ საკუთარი დანაშაულის გადაფარვას, რამაც მიგვიყვანა ამდენ დასახიჩრებულ ადამიანამდე.

ხელისუფლება ასეთ პიარულ კამპანიაში რთავს, ერთი მხრივ, პროკურატურასა და პოლიციას, ხოლო მეორე მხრივ მათი ოპონენტების ერთი ნაწილი ცდილობს, ისტორიიდან ამოშალოს პოლიციის კორდონის გარღვევის მცდელობის ეპიზოდი, რომელზეც გამოძიების ჩატარება არის პოლიციის მოვალეობა.

ერთი მხრიდან არ უნდათ დავინახოთ, რომ იქ სახელმწიფო გადატრიალების არანაირი მცდელობა არ ყოფილა, რომ მათ ძალას გადაამეტეს და ამით ადამიანები დაასახიჩრეს, ამის დანახვა არ უნდათ და ტყუილს გველაპარაკებიან მომიტინგეების დარღვევაზე, ხოლო მეორე მხრივ ვხედავთ მისი ოპონენტების ნაწილს, რომელსაც არ უნდა აღიაროს, რომ მიტინგის გარკვეულ პერიოდში გარკვეული ადამიანების მხრიდან ადგილი ჰქონდა კანონის დარღვევას, რომელიც შესაძლოა გამოიძინონ პროკურორმა და პოლიციელმა.

ვხედავთ მონოლოგებს დიალოგის ნაცვლად. ერთი მხარე ერთ რაღაცას ამტკიცებს, მეორე მხარე – მეორეს. ეს არის პრობლემა ამ ქვეყანაში.

– გახარიას მიერ ელჩებზე გაკეთებულ განცხადებაში რისი მცდელობა იყო?

– ეს ნიშნავს ყველა გზით და საშუალებით თავის გამართლების მცდელობას, მათ შორის იმ საშუალებებით, რაც ყოვლად მიუღებელია და დიპლომატიურ ეტიკეტსა და პრაქტიკაში ეს ვერ ჯდება. დეტალებისგან თავს შევიკავებ, თუმცა გეტყვით, რომ მქონდა საუბარი ერთ-ერთ იმ ადამიანთან, რომელზეც გახარია მიუთითებდა და, რბილად რომ ვთქვა, ეს არავის მხრიდან არ იყო აღქმული სწორ ქმედებად.

– ოპოზიციის ერთმა ნაწილმა გაგაკრიტიკათ იმის გამო, რომ დაესწარით პროპორციულ არჩევნებზე გადასვლასთან დაკავშირებით „ოცნების“ პრეზენტაციას. მოგვარდა ეს გაუგებრობა?

– იმაზე, რაც უკვე წარსულია და ამოწურულია, კომენტარი გააზრებულად არ მიმაჩნია. მე მაშინვე ვთქვი, რომ ეს იყო უსაფუძვლო და უსარგებლო რაღაცა ტიპის თავდასხმა. მე მგონი, მისი ავტორები თავადვე მიხვდნენ და შეწყვიტეს ეს ყველაფერი. ვგულისხმობ პოლიტიკური წრეების წარმომადგენლებს.

– პროპორციული წესით ჩატარებული არჩევნების დროს შეხვალთ პარლამენტში, ვის განიხილავთ პარტნიორად?

– ეს არის თავსმოხვეული კითხვა, სწორედ ასეთი უსაგნო და უაზრო კითხვა. ჯერ საარჩევნო სისტემა არ გვაქვს გამაგრებული, საარჩევნო კამპანია არ დაწყებულა და საარჩევნო სუბიექტები არ გამოკვეთილა. ახლა ამ ტიპის სპეკულაციებით ეს არის ყურადღების გადატანა მთავარი თემებიდან.

ძალიან დიდი ბოდიში, მესმის, რომ ამას ბევრი კითხულობს და აქედან გამომდინარე მისვამთ ამ შეკითხვას, მაგრამ მე დღეს ამაზე პასუხი აბსოლუტურად უსაგნო მგონია. წელიწად-ნახევრით ადრე იმაზე საუბარი, ვისთან შეიძლება ურთიერთობა და ვისთან არა, არასწორია.

ეს პერიოდი ძალიან ბევრ რამეს გვაჩვენებს, ბევრ რამეს შეცვლის პოლიტიკურ პროცესებში. ახალი ძალები და ადამიანები გამოჩნდებიან. დღევანდელ დღეს რა დროს ამაზე მსჯელობაა, ეს არის უსაგნო კამათი და ჭორაობა, რომელსაც ქვეყნის საჭიროებებთან არაფერი საერთო არ აქვს.

ამიტომ ამაზე არც მე მინდა მოვცდე, არც თქვენ და არც ის მინდა, რომ მკითხველი მოვაცდინოთ. ქვეყანას სჭირდება კოალიციური ხელისუფლება, რომელსაც არც ბიძინა მართავს და არც მიშა.

– ასე უნდა გავიგოთ, რომ ბიძინასთან, მიშასთან და მათ პოლიტიკურ ძალებთან თანამშრომლობას გამორიცხავთ?

– ვცდილობ აგიხსნათ, მაგრამ თქვენ ძალიან მარტივად გადაგყავთ საუბარი იმ ნარატივში, რომელშიც უნდათ, რომ რაღაც სისულელეებზე ვისაუბროთ. მე საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში არც ნაციონალების კანდიდატს დავუჭირე მხარი და არც „ქართული ოცნებისას“. მთაწმინდის არჩევნებზე „ევროპული საქართველო-თავისუფალი დემოკრატების“ კანდიდატს მივეცი ხმა და „ოცნების“ წარმომადგენლებს არ მივეცი, ანუ კონკრეტულ ვითარებაში ვიქცევი ისე, როგორც საქმისთვის მიმაჩნია სწორად.

ვიმეორებ, ქვეყანას სჭირდება კოალიციური ხელისუფლება, რომელსაც არ მართავს არც ბიძინა ივანიშვილი და არც მიხეილ სააკაშვილი, ანუ არც დღევანდელი ხელისუფლების გაგრძელებაა საჭირო, რომელმაც ქვეყნის მართვის რესურსი დიდი ხანია ამოწურა და არც წინა ხელისუფლების მობრუნება.

არაფერი ეტყობა, რომ რამე ისწავლა ამ ხნის განმავლობაში სააკაშვილმა. აი, ეს არის ჩემთვის ძირითადი ჩარჩო.

„ვიმეორებ, ქვეყანას სჭირდება კოალიციური ხელისუფლება, რომელსაც არ მართავს არც ბიძინა ივანიშვილი და არც მიხეილ სააკაშვილი, ანუ არც დღევანდელი ხელისუფლების გაგრძელებაა საჭირო, რომელმაც ქვეყნის მართვის რესურსი დიდი ხანია ამოწურა და არც წინა ხელისუფლების მობრუნება.
არაფერი ეტყობა, რომ რამე ისწავლა ამ ხნის განმავლობაში სააკაშვილმა. აი, ეს არის ჩემთვის ძირითადი ჩარჩო“

მე არ მგონია, რომ „ქართულმა ოცნებამ“ უარი თქვა დასავლურ ინტეგრაციაზე. მე მგონია, რომ „ქართული ოცნება“ კრიზისშია. პირველ რიგში საკუთარი მოსახლეობის მხარდაჭერას კარგავს. ამიტომ სხვადასხვა მიმართულებით გაუგებარ მოძრაობებს აკეთებს. დასავლეთიდან კრიტიკა ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე იზრდება და შესაძლოა ხელისუფლებებს წაუცდეთ ხოლმე ხელი.

ვინაა ის, ვინც დემოკრატიის ნაკლებობის გამო არ გაგვაკრიტიკებს? ესაა მოსკოვი. ამიტომ ამ ტიპის რაღაცა გადახრები შეიძლება არსებობდეს ხოლმე. მაგრამ მე გამოვრიცხავ, რომ ქვეყანა ვინმემ ააცდინოს იმ სწორ გზას, რომელსაც ევროსტრუქტურებისკენ სვლა ჰქვია.

– არათანმიმდევრული განცხადებები მოვისმინეთ დავით ზალკალიანისა და „ოცნებისგან“. ჟურნალისტ გაბუნიას მიერ პუტინის გინების გამო რეაგირებისთვის დასავლეთს მიმართეს, მიესალმნენ იმას, რომ პუტინმა სანქციები არ დაგვიწესა, მაგრამ პრაქტიკულად არაფერი თქვეს, როცა პუტინმა ისტორიის გაყალბება ცადა. რა იყო ეს?

– გავრილოვ-გაბუნია-პუტინის ინციდენტებში სამწუხარო რეალობა ვნახეთ – „ოცნებას“ არ აქვს სახელმწიფო პოლიტიკა შემუშავებული რუსეთთან ურთიერთობაში. აქ არის მყისიერი რეაქციები მიმდინარე მოვლენებზე ისე, რომ არსებული პრობლემატიკის კომპლექსი გათვალისწინებული არ არის.

მეორე, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები როდესაც ქართველი ხალხის გასაგონად ამბობენ რამეს, ჰგონიათ, რომ ეს მოსკოვში არ ესმით და პირიქით, როდესაც პუტინის გასაგონად ამბობენ რამეს, ჰგონიათ, რომ ამას ქართველები ვერ ვისმენთ.

ამის კლასიკა იყო გავრილოვის შემდგომი რეაქცია, როდესაც ივანიშვილისგან მიღებული ნებართვის შემდეგ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო მწვავე განცხადებას გააკეთებდა ქართველი ხალხის გულის მოსაგებად და ამით რეალურად გააღიზიანეს რუსეთი იმ საკითხში, რაშიც მაინცდამაინც რუსეთის ბრალი არ იკვეთება. გავრილოვი საქართველომ მოიწვია, საქართველომ უმასპინძლა რესტორანშიც, პარლამენტშიც ჩვენი ხელისუფლება შეუძღვა და ა.შ. ამის შემდეგ ამის რუსეთისთვის გადაბრალება, რა თქმა უნდა, რუსეთის მხრიდან ისტერიულად იყო მიღებული. ვერ გაიაზრა ხელისუფლებამ, რომ რასაც მოსახლეობის გულის მოსაგებად ამბობდნენ, ეს შეუქმნიდა პრობლემებს მოსკოვში.

ამის საპირისპირო მოვლენა ვნახეთ გაბუნიას ინციდენტის შემდეგ. აქ უკვე მოსკოვს ისე ელაპარაკებოდნენ, რომ ვერ გაიაზრეს, რომ ჩვენც გვესმოდა ეს. გვესმოდა ყოვლად მიუღებელი და მთავრობისთვის შეუფერებელი ქმედება. სხვა ქვეყნის ხელისუფლებას ეუბნები იმას, რომ ქვეყანაში შეტევას ახორციელებენ რადიკალები და ექსტრემისტები და ამიტომ ბოდიში და ნუ გაბრაზდებიო.

ამ ვითარებაში ხელისუფლებას ღირსეული პოზიცია უნდა დაეკავებინა და გაბუნიას ნათქვამი იმ დონემდე არ უნდა აეწია, რომ ისე გამოეყვანა, თითქოს მთლიანად საქართველომ თუ არა, ნახევარმა საქართველომ მაინც უთხრა პუტინს. ხელისუფლება პირიქით უნდა მოქცეულიყო და ეთქვა, რომ საქართველო თავისუფალი ქვეყანაა, ბევრი თავისუფალი და უკონტროლო ტელევიზიაა და იქ ბევრ რაღაცას ლაპარაკობენ, რაც მიუღებელია და ეთიკასთან არის მწყრალად. ეთქვა, რომ ეს არის ერთი ჟურნალისტის აზრი და არა – მთელი ქვეყნის ან თუნდაც ნახევრის.

მესამე შემთხვევაში უკვე პუტინის განცხადებების შემდეგ სანქციების ნაწილზე მაღლობების ხდა იმდენად სწორად მოეჩვენათ, რომ სიტყვა ვეღარ თქვეს იმაზე, რაც პუტინის განცხადების მეორე ნაწილში იყო.

პუტინის ამ განცხადებას ერთი პოზიტიური შედეგი აქვს – ამ განცხადების შემდეგ ვინმეს შეეპარება ეჭვი, რომ პუტინი ევროპისკენ სვლის გამო გვსჯის? გამოჩნდა, რომ პუტინი თვლის, რომ საქართველო არც არსებულა და არც უნდა არსებობდეს. მისთვის ერთადერთი სწორი ნაბიჯი იქნებოდა ის, რომ ჩვენ ჩავბარდეთ რუსეთს.

– რეალურად ეს არ იყო იმის საფუძველი, რომ მთელი მსოფლიო შეეძრა საქართველოს ხელისუფლებას ამ განცხადების შემდეგ?

– მთელი მსოფლიო არ იძვრება განცხადებებით, ესეც უნდა დავინახოთ ქართველებმა. ჩვენ რომ რაღაცას მოვისმენთ, გვგონია, რომ ეს მხოლოდ ახლა მოხდა. ვინც ადევნებს თვალ-ყურს პუტინის გამონათქვამებს, მოქმედებებს თუ მთელ მის პოლიტიკას, იცის, რომ ასე თვლიან ისინი. მიიჩნევენ, რომ ყირიმი მათია და თბილისი მათი გუბერნიაა. ასე თვლიან ისინი, მსოფლიომ ეს იცის და ამიტომ არის საქართველოს მხარეს.

პუტინის განცხადება ისტორიის შეცვლის მცდელობაზე ვერ გახდება გაეროსა და სხვების მსჯელობის საგანი. აქ ჩვენ თვითონ უნდა ვიყოთ ზომიერი და სოლიდური. ამ შემთხვევაში ყველაზე სწორი იქნება ის, რომ მაგალითად ავტორიტეტულმა ქართველმა მეცნიერებმა ავტორიტეტული რუსი მეცნიერების შრომებზე დაყრდნობით მოკლე ანგარიში გააკეთონ იმ თემებზე, რაზეც პუტინი ბრძანებდა და ჩვენმა ხელისუფლებამ მიუთითოს ამაზე: ბატონო პუტინო, ის თემები, რომლებიც თქვენ წამოჭერით, აგერ თქვენივე მეცნიერების შრომებით დასტურდება, რომ ცდებით. ახლა გავაგრძელოთ ცხოვრება და მუშაობა იმ თემებსა და პრობლემებზე, რაც საქართველოსა და რუსეთის ხელისუფლებას აწუხებს.

მთავრობებს შორის ისტორიაზე კინკლაობა ზოგადად არაფრამდე მიდის. ჩვენმა ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა თქვას, ჩვენი მხრიდან სიმართლე რაშია. ოღონდ ეს ბახტაძეს მოუვიდა თავში და ივანიშვილი ასე თვლის, ასე კი არა, არამედ კონკრეტული მითითებით და მორჩა.

გასაგებია, პუტინი ჟონგლიორობს ამ თემებით. ჩვენ ჩვენი მხრიდან უნდა ვთქვათ სათქმელი და არა ისე, რომ გაეროში გავიქცეთ.

გედევან ფოფხაძე: „ოცნების“ რღვევა ძალიან სწრაფად მოხდება“

ნათია ხურცილავა

პარლამენტის დამოუკიდებელი წევრი, ბორჯომი-ასპინძის მაჟორიტარი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, დაანონსებული საკონსტიტუციო ცვლილებები, რომლებიც საარჩევნო სისტემას ეხება, რეალურად განხორციელდება? პოლიტოლოგები ამბობენ, თუ ეს ივანიშვილის პოლიტიკური ნებაა, მაშინ ცვლილება მოხდება, წინააღმდეგ შემთხვევაში – არა.

– ეს არის პოლიტიკური ვალდებულება, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა საკუთარ თავზე აიღო. თუ ეს ვალდებულება არ შესრულდება და მას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდებიან, მაშინ „ქართული ოცნების“ შიდა პარტიული დისციპლინის საკითხი მთლიანად ინგრევა.

რა გამოდის, რომ ჩემთვის არ შეიძლებოდა განსხვავებული აზრის დაფიქსირება და ამიტომ უნდა წამოვსულიყავი, მაგრამ, თუ ამ საკანონმდებლო ინიციატივას ხმას არ მისცემს უმრავლესობის წევრი, ის უნდა დარჩეს და არ უნდა გაირიცხოს? თუ ეს ყველაფერი გათამაშდება, მაშინ „ქართული ოცნება“ ვიზუალურად ჩამოიშლება. ამ ფონზე უკვე ხელისუფლება ქვეყანას აღარ ეყოლება. ასე იქნება აღქმული: თუ ლიდერი ვერ ასრულებს პოლიტიკურ დაპირებებს, მაშინ ყველაფერი ჩამოიშლება.

ამის იქით უკვე ისეთი უმართავი პოლიტიკური პროცესებია, რომლებიც არავის უნდა, მათ შორის, არც ბიძინა ივანიშვილს.

ბევრად მნიშვნელოვანია არა საარჩევნო სისტემის ცვლილება, არამედ მთლიანად არჩევნებისადმი დამოკიდებულება და ამომრჩევლის მოსყიდვის პრობლემა. თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სისტემის ცვლილებას ვგულისხმობ, სრული კონსენსუსია და მე, როგორც ერთი დეპუტატი, პოლიტიკურ კონიუნქტურას ვემორჩილები და პროპორციულ არჩევნებს ვაძლევ ხმას, მაგრამ, იმედი მაქვს, ამაზე არ გავჩერდებით.

თუ ადმინისტრაციულ რესურსსა და მოსყიდვას არ მოევლო, მაშინ მაინც არ გვექნება ხალხის ადეკვატური განწყობების ასახვა.

– გახარია ამბობს, რომ მან გასცა ბრძანება. რა მოხდა, როგორ ფიქრობთ?

– ჩვენი კანონმდებლობით, ეს ბრძანება უნდა გაეცა შინაგან საქმეთა მინისტრს. თუ მის მაგივრად სხვამ გასცა და მის საქმიანობაში ჩაერია, ესეც პრობლემაა. ეს წინააღმდეგობა პასუხებს შორის იძლევა საფუძველს, რომ ამ კუთხითაც ჩატარდეს გამოძიება. მთავარი პრობლემა მაინც ის არის, რომ გამოძიების დროს თავად მინისტრი არ უნდა იყოს.

– არადა, თქვა, იმიტომ არ გადავდგები, რომ პასუხისმგებლობას ვიღებო.

– სამართლებრივად ეს დამოკიდებულება სწორი არ არის. შეიძლება, მას ასე მიაჩნია და უნდა, რომ თავად გაერკვეს სიმართლეში და სხვებიც გაარკვიოს, მაგრამ ეს სიმართლე მას ეხება. მე ხშირად დავდიოდი ციხეში და არ მინახავს ადამიანი, რომელსაც უკვე მისჯილიც აქვს და პატიმრობაშია, რომ არ ჰქონოდა თავის გამართლების არგუმენტი.

თუ გახარიას ლოგიკით წავალთ, მაშინ 26 მაისიც გამართლდება, 7 ნოემბერიც და, რა ვიცი, იქნებ 9 აპრილიც გაამართლოს მაშინ ამ ლოგიკის ავტორმა! თუ 26 მაისის აქციის დარბევა იყო დარბევა და 20 ივნისი – მოგერიება, მაშინ რა გითხრათ?!

თუ ვინმე სახელმწიფო გადატრიალებას აპირებდა, იპოვონ და დასაჯონ, მაგრამ იმის იქით ვინც დააშავა, იმანაც უნდა აგოს პასუხი. ამ სისასტიკისთვის ვიღაცამ ხომ უნდა აგოს პასუხი, სამართლებრივი შეფასება ხომ არის საჭირო.

– რატომ არ ან ვერ ელევა ივანიშვილი გახარიას? რატომ არ უშვებს, რომ შეიძლება, პროცესები კიდევ უფრო ჩიხში შევიდეს?

– მე მაინც მიმაჩნია, რომ ქვეყანაში მთავარი პრობლემა ხელისუფლების კრიზისია. ეს ყველაფერს გადაედო. გადააყენეს პარლამენტის თავმჯდომარე, თან ისე, რომ თვითონ არ გადადგა. ისე გადააყენეს, თითქოს პოლიტიკურ კლასს არც წარმოადგენდა. გვერდით ედგა კალაძეს კობახიძე და კალაძემ გვითხრა, გადადგაო. ეს ხომ იმის მაჩვენებელია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე გვეგონა, მაგრამ არ ყოფილა.

– ანუ გვითხრეს, ეს მსხვერპლი ჩვენ გავიღეთ, ჩვენ გადავაყენეთო?

– დიახ, თვითონ კი არ გადადგა, გუნდმა დაიბრალა მისი წასვლა, ჩვენ გადავაყენეთო! თუ ახლა გახარიასაც გადააყენებენ, აშკარა ხდება, რომ არანაირი ინსტიტუტი, არანაირი სახელმწიფო სტრუქტურა არ მუშაობს, არ არსებობს.

ეს ისედაც ასეა, მაგრამ ამის ოფიციალური დადასტურება მოხდება ხელისუფლების მხრიდან. მერე უკვე სახელისუფლებო გუნდის რღვევა ძალიან დინამიკური იქნება. ხომ წარმოგიდგენია, მერე როგორ შეიძლება, მოვლენები განვითარდეს თვითონ გუნდის შიგნით. არჩევნებია, ვინ იქნება სიაში, ვინ – არა, ეს ადამიანები ბევრ

რამეზე დაფიქრდებიან.

ძალიან რთულად წარმოსადგენია „ქართული ოცნება“ ოპოზიციაში, რადგან ეს არ არის მყარი იდეოლოგიური საფუძვლების მქონე პარტია. ძალიან განსხვავებული იდეოლოგიის მქონე ადამიანები არიან „ქართულ ოცნებაში“.

მხოლოდ ერთ ადამიანზეა დამოკიდებული ამ ხალხის ბედი და პერსპექტივა.

სალომე ზურაბიშვილი: „ვფიქრობ, რომ პროტესტი სპონტანური იყო – იმ მომენტამდე, სანამ ის პოლიტიზებული გახდებოდა“

– საქართველომ საბოლოოდ და ოფიციალურად უარი თქვა ძალის გამოყენებაზე და ამაში ჩანს ჩვენი რეალისტური მიდგომა ვითარებისადმი.

ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „დოიჩე ველესთან“ ინტერვიუში განაცხადა.

– ვფიქრობ, რომ პროტესტი სპონტანური იყო – იმ მომენტამდე, სანამ ის პოლიტიზებული გახდებოდა. ამ პოლიტიზებას ახლაც აქვს ადგილი. ჩემი თვალსაზრისით, ამის მიზეზია კონფლიქტის ღია ჭრილობა, საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, რომელიც ჩვენში და ჩვენ ევროპელ პარტნიორებში უნდა იწვევდეს ღრმა შეშფოთებას.

პრობლემების გადაუჭრელობა, გაყინული ვითარება – ადამიანები ვერ ეგუებიან ამას დიდი ხნის განმავლობაში. ქართველები ამაყი ხალხია. საქართველოს ისტორია გვკარნახობს, რომ ადრე თუ გვიან ეს საკითხი უნდა დავარეგულიროთ. საქართველომ საბოლოოდ და ოფიციალურად უარი თქვა ძალის გამოყენებაზე – და ამაში ჩანს ჩვენი რეალისტური მიდგომა ვითარებისადმი.

არსებულ ეტაპზე საქართველოს არ გააჩნია დიპლომატიური საშუალებები იმისთვის, რომ მოაგვაროს ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი, რადგან არ გაგვაჩნია რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა, მაგრამ ამას რაღაც უნდა მოვუხერხოთ. ჩემი აზრით, სწორედ ამის მოტანა უნდოდათ ჩვენამდე პროტესტის მონაწილეებს: ჩვენ ყველამ რაღაც უნდა ვიღონოთ. ჩვენ ევროპელ პარტნიორებთან ერთად „ჟენევის ფორმატში“. ამ ფორმატმა თანდათან დაკარგა... არა, მნიშვნელობა არა, რადგან სხვა ფორმატი არ არის და ის ჩვენთვის უკიდურესად საჭიროა – თუმცა, საჭიროა, მისი ახალ პოლიტიკურ დონეზე აყვანა, რათა მან მართლა იმუშაოს. მან უნდა გადაწყვიტოს პრობლემები და არა მხოლოდ განიხილოს ტექნიკური ხასიათის საკითხები. სწორედ ასეთი იყო სიგნალი, რომელიც წამოვიდა საქართველოს ქუჩებში მყოფი პროტესტის მონაწილეებისგან, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მედიანიუსი

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ბოდიშს იხდის

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ონიანი ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას ბოდიშს უხდის. განცხადებაში, რომელიც ონიანმა ცოტა ხნის წინ ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე გამოაქვეყნა, ის ასევე ბოდიშს უხდის მეგობარს, რომლის მისამართითაც გააკეთა კომენტარი ფეისბუქპოსტზე, კოლეგებს პარტია „ქართული ოცნებიდან“, ასევე – საკუთარ მეუღლეს.

– ჩემო მეგობრებო, ძვირფასო ადამიანებო, ალბათ აკვირდებით ჩემ გარშემო შექმნილ აჟიოტაჟს, უამრავი თქვენგანი პირადად მეხმიანება, ზოგიც საჯაროდ ცდილობს ჩემს დაცვას, ყველა საკუთარ აზრს გამოთქვამს, კამათობენ, დავობენ... მაშინ როცა ისედაც უამრავი პრობლემაა ჩვენ გარშემო, დაპირისპირების დამატებითი საფუძველი ნამდვილად აღარ გვჭირდება. ჩვენ ყველა ერთად უნდა გავუფრთხილდეთ საკუთარ და საზოგადოების თითოეული წევრის ღირსებას, ამიტომ ვერ დავუშვებ კიდევ ახალ კონფლიქტს ჩემი მიზეზით. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი მეგობრული ხუმრობა მის ადრესატს საერთოდ არ სწყენია, პირველ რიგში მას ვუხდი ბოდიშს, შექმნილი უხერხულობისთვის. ბოდიშს ვუხდი ჩემს კოლეგებს პარტია „ქართული ოცნებიდან“, რომლის იმიჯსაც შეეხო ეს აჟიოტაჟი, რომლის წარმატებისთვისაც ბევრი მიბრძოლია და კიდევ ვიბრძოლებ, რადგან მჯერა, რომ ერთადერთი პარტიაა პოლიტიკურ ასპარეზზე და სწორედ „ქართულმა ოცნებამ“ დააყენა საქართველო დემოკრატიული განვითარების გზაზე.

დიახ, „ქართული ოცნების“ მონაპოვარია სიტყვის თავისუფლება, რომელიც ხშირად ერთმანეთის და ქვეყნის შეურაცხყოფაში გვერევა. ჰოდა, რადგან ხანდახან შეცდომებს ვუშვებთ, ქალბატონო ინგა გრიგოლია, ბოდიშს გიხდით თუკი ჩემი დაწერილი კომენტარი საკუთარ შეურაცხყოფად და დისკრიმინაციად მიიღეთ. ბოდიშს გიხდით, რადგან პატივს ვცემ ჟურნალისტის პროფესიას და ამაში ჩემი მეგობარი ჟურნალისტები დამეთანხმებიან. ბოდიშს გიხდით როგორც ქალს, რადგან როგორც მამაკაცი, ქალისათვის ბოდიშის მოხდაში ვერაფერს დამამცირებელს ვერ ვხედავ...

და აქვე ბოდიშს ვუხდი ჩემს მეუღლეს, რომელიც ამ თვეში კიდევ ერთხელ გახდება დედა და ბოლო დღეებია ჩემ გამო ისმენს უამრავ ლანძღვასა და გინებას. იმედს ვიტოვებ, ჩვენს შვილებს ისეთ ქვეყანაში მოუწევთ ცხოვრება, სადაც ადამიანები ერთმანეთს არ უპირისპირდებიან, სადაც მეგობრული მიმოწერები პოლიტიკური სპეკულირების საგანი არ ხდება და სადაც ყველამ იცის თავისი ფუნქცია და ადგილი“, – ნათქვამია განცხადებაში, რომელიც რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ონიანმა ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე გუშინ, 14 ივლისს გამოაქვეყნა.

რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ონიანმა სოციალურ ქსელში ჟურნალისტ ინგა გრიგოლიასა და შსს-ს მინისტრ გიორგი გახარიასთან ინტერვიუს ამსახველ პოსტს კომენტარის სახით მიაწერა – „ინგა ჩივის უკონტაქტო გაუპატიურებისთვის“, რასაც ონიანის მისამართით საზოგადოების მხრიდან მწვავე კომენტარები და შეფასებები მოჰყვა. მოგვიანებით ლევან ონიანმა განმარტა, რომ მას ამ კომენტარში ჟურნალისტი ინგა გრიგოლია არ უგულისხმია.

ინტერპრესნიუსი

„ვაიმე, არაჩვეულებრივია!“ – ბრიტანეთის ელჩი საქართველოში

საქართველოში დიდი ბრიტანეთის ელჩი ჯასტინ მაკენზი სმიტი სვანეთში მოგზაურობის ამსახველ ფოტოებსა და საკუთარ შთაბეჭდილებებს სოციალურ ქსელ Twitter-ზე აქვეყნებს.

– ვაიმე, არაჩვეულებრივია!

სვანეთში თქვენ სუნთქვის შემკვრელი სილამაზით ხართ გარშემორტყმული, როდესაც გარშემო მიმოიხედავთ, – წერს მაკენზი.

ელჩი საქართველოში დაწყებულ კამპანიას „SpendyoursummerinGeorgia“ (გაატარე ზაფხული საქართველოში) უერთდება.

მედიანიუსი

გიორგი ბოტკოველი: „მევენახეების აქციის ორგანიზატორი „ქართული ოცნება“ და სუს-ი იყვნენ“

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კახეთის ორგანიზაციის ხელმძღვანელი გიორგი ბოტკოველი აცხადებს, რომ ტელეკომპანია „რუსთავი 2“-თან თელაველი და გურჯაანელი მევენახეების მიერ გამართული აქცია „ქართული ოცნებისა“ და სუს-ის მიერ იყო მოწყობილი.

– ამას საპროტესტო აქციასაც არ დავარქმევდით, სადაც შეკრებილი იყვნენ ადამიანები, რომლებიც საუბრობდნენ კახეთის სახელით და კახელი გლეხების სახელით.

რა თქმა უნდა, ღვინო, ვენახი ერთ-ერთი მთავარი შემოსავლის წყაროა კახელი გლეხისთვის, თუმცა არა პუტინის ქება-დიდებისა და ოკუპაციის აღიარების ხარჯზე.

რაც შეეხება გუშინდელ ღონისძიებას, რომელიც ორგანიზებული იყო „ქართული ოცნებისა“ და სუს-ის მიერ, ჩვენ იდენტიფიცირებული გვყავს აბსოლუტურად ყველა ადამიანი, არაერთმა ტელევიზიამ უკვე გადასცა ამ ადამიანების გვარები და სახელები.

მაგალითად, ესენი იყვნენ „ქართული ოცნების“ წარმომადგენელი, ერთ-ერთი სოფლის მაჟორიტარი დეპუტატი, საკრებულოს წევრი და მასთან ერთად, არაერთი კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანი, რომლებიც პირდაპირი დავალებით, სუს-ის ორგანიზებით, შეიკრიბნენ, – განაცხადა გიორგი ბოტკოველმა.

მისივე თქმით, ბოლო ათი დღის განმავლობაში ხელისუფლება ცდილობს დააძალოს მოსახლეობას, სხვადასხვა აქციები გამართოს და „პირდაპირ მხარი დაუჭიროს რუსეთის ფედერაციას“.

თელაველმა და გურჯაანელმა მევენახეებმა „რუსთავი 2“-თან საპროტესტო აქცია გამართეს. ისინი ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას განცხადებას აპროტესტებდნენ და ბოდიშის მოხდას ითხოვდნენ.

რეგინფო

საქართველოდან ექსპორტირებული მინერალური და მტკნარი წყლების თითქმის ნახევარი რუსეთში გადის

2019 წლის 5 თვეში საქართველოდან, ჯამში, 86,859 მლნ ლიტრი მინერალური და მტკნარი წყლის ექსპორტი განხორციელდა, საიდანაც 44,9% რუსეთზე მოდის. კერძოდ, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ „ბიზნეს-პრესნიუსისთვის“ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მიმდინარე წელს (იანვარ-მაისში) რუსეთში 38, 977 მლნ ლიტრი მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი განხორციელდა, რაც 21,3%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე. 2018 წლის 5 თვეში რუსეთში 30,684 მლნ ლიტრი მინერალური და მტკნარი წყალი გავიდა.

ამასთან, ზოგადად, გაზრდილია უცხოეთში გატანილი პროდუქციის მოცულობაც. საქსტატის მონაცემებით, 2019 წლის 5 თვეში საქართველოდან უცხოეთში 19,3%-ით მეტი მტკნარი და მინერალური წყლები გავიდა (86,859 მლნ ლიტრი), ვიდრე 2018 წლის ანალოგიურ პერიოდში. გასულ წელს ექსპორტზე 70, 075 მლნ ლიტრი პროდუქცია გავიდა.

რაც შეეხება მთავარ ექსპორტიორ ქვეყნებს, 2019 წლის 5 თვეში, მინერალური და მტკნარი წყლები ყველაზე დიდი მოცულობით გავიდა:

რუსეთში – 38,977 მლნ ლიტრი;
უკრაინაში – 19,977 მლნ ლიტრი;
ლიეტუვაში – 10,183 მლნ ლიტრი;
ყაზახეთში – 6, 093 მლნ ლიტრი;
ბელორუსში – 6,329 მლნ ლიტრი;
უზბეკეთში (რომელიც ქართული წყლების ექსპორტიორ ქვეყნებს წელს დაემატა) – 1,397 მლნ ლიტრი

2018 წლის ანალოგიურ პერიოდში კი:

რუსეთში – 30,684 მლნ ლიტრი;
უკრაინაში – 13,464 მლნ ლიტრი;
ლიეტუვაში – 10,371 მლნ ლიტრი;
ყაზახეთში – 5,092 მლნ ლიტრი;
ბელორუსში – 6,717 მლნ ლიტრი;
აშშ – 669 ათასი ლიტრი;

რაც შეეხება 2018 წლის მთლიან მაჩვენებლებს, საქართველოდან უცხოეთში, ჯამში, 172,006 მლნ ლიტრი მინერალური და მტკნარი წყლები გავიდა, საიდანაც 42,8% რუსეთზე მოდიოდა. კერძოდ, გასულ წელს რუსეთში 73,643 მლნ ლიტრი პროდუქცია გავიდა.

რაც შეეხება სხვა ქვეყნებს, 2018 წელს, რუსეთის გარდა, ასევე მთავარი ექსპორტიორი ქვეყნები იყვნენ:

უკრაინა – 35,530 მლნ ლიტრი;
ლიეტუვა – 23,933 მლნ ლიტრი
ბელორუსი – 15,950 მლნ ლიტრი
ყაზახეთი – 13,197 მლნ ლიტრი
აზერბაიჯანი – 2, 074 მლნ ლიტრი

BPN

მოქალაქეს უძრავ ქონებას სახელმწიფო იძულების წესით ჩამოართმევს



ქობულეთის შემოვლითი გზის მშენებლობის გამო საავტომობილო გზების დეპარტამენტს მოქალაქის უძრავი ქონების ექსპროპრიაციის (საკუთრების ძალადობრივი ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ ანაზღაურებით) უფლება მიენიჭა.

– ქობულეთის შემოვლითი გზა იწყება მდინარე ნატანების სახიდე გადასასვლელამდე, საერთაშორისო მნიშვნელობის სენაკი-ფოთი (ასაქცევი)-სარფი (თურქეთის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 61+480-დან (შეკვეთილში), უხვევს მარცხნივ და კვეთს მდინარე ნატანებს. აღმოსავლეთის მხრიდან გადის გასართობ ცენტრ „ციცინათელასთან“, შემდეგ კვეთს მდინარეებს: ჩოლოქს, შავღელეს, ოჩხამურს, მიჰყვება საქართველოს რკინიგზას ქვედა მხარეს, მკვეთრად შორდება ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალს (ისპანის ჭაობს), კვეთს საქართველოს რკინიგზის ხაზს ყველაზე ხელსაყრელ ადგილას, შემდეგ უხვევს მარჯვნივ და მთავრდება სოფელ ოჩხამურის ტერიტორიაზე, – აღნიშულია ბრძანებაში.

როგორც ბრძანებაშია აღნიშნული, დეპარტამენტის მიერ უძრავი ქონების ნებაყოფლობითი გამოსყიდვის შესახებ ვერ იქნა შეთანხმება მიღწეული ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, აკაკი სიამაიშვილთან მის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 45.702 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ნებაყოფლობით გამოსყიდვაზე. შესაბამისად, მისი ქონება ექსპროპრიაციას დაექვემდებარება.

BPN

რატომ არ ხარჯავს ტურიზმის ადმინისტრაცია 2019 წელს რუსეთში საქართველოს მარკეტინგზე ფულს?

როგორც ცნობილია, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ საქართველოს მარკეტინგისთვის განსაზღვრული 17 მლნ ლარიდან წელს რუსეთში 1 ლარიც კი არ იხარჯება, მაშინ როცა 2013-2018 წლებში რუსეთის ფედერაციაში საქართველოს ტურიზმის მარკეტინგის კამპანიებისთვის 13 მლნ ლარია დახარჯული. მხოლოდ 2018 წელს ტურიზმის ადმინისტრაციამ მარკეტინგის ჯამური 16.5 მლნ-დან 6 მლნ ლარი მხოლოდ რუსეთში დახარჯა, ხოლო დარჩენილი თანხა – სხვა ქვეყნებში.

ცნობისთვის: 2014-2018 წლებში ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას გიორგი ჩოგოვაძე ხელმძღვანელობდა; ის ახლა საქართველოს გაერთიანებული აეროპორტების ხელმძღვანელია.

რატომ დახარჯა მთავრობამ 6 წელიწადში 13 მლნ ლარი რუსეთში – ამ კითხვის დასმა ბმ.გე-ის გიორგი ჩოგოვაძისთვის სურდა, მაგრამ იგი ამჟამად, საქართველოში არ იმყოფება.

ბუნებრივია, ჩვენ ასევე დავინტერესდით – რატომ არ ხარჯავს ტურიზმის ადმინისტრაცია 2019 წელს რუსეთში საქართველოს მარკეტინგზე ფულს და შესაბამისი კითხვებით ტურიზმის ადმინისტრაციის მოქმედ ხელმძღვანელს მარიამ ქვრივიშვილს მივმართეთ.

მისი თქმით, აღნიშნული გადაწყვეტილება ადმინისტრაციას 20 ივნისის მოვლენების შემდეგ არ მიუღია და ამაზე ჯერ კიდევ 2019 წლის დასაწყისიდან ღიად საუბრობდნენ.

მარიამ ქვრივიშვილი ამბობს იმასაც, რომ მათ გაზომეს იმ მარკეტინგული კამპანიების ეფექტი, რომელიც ამ წლების განმავლობაში რუსეთში ხორციელდებოდა და ნახეს, რომ საქართველოს ცნობადობა იქ საკმაოდ მაღალია.

– ციფრი იმ ადამიანების, ვინც ბოლო წლებში საქართველში რუსეთიდან ჩამოვიდა, რამდენიმე მლნ-ს აღემატება. ჩვენ ასევე ვნახეთ, რომ პროდუქტის ცნობადობაც მაღალია და ქვეყნის პოზიციონირებაც არის ისე, რომ ადამიანები, რომლებიც ჩამოდიოდნენ და მერე უკან ბრუნდებოდნენ, როგორც ე.წ. ქვეყნის ელჩები და უკვე ისინი საქართველოზე უყვებოდნენ მეგობრებს, მეზობლებს, კოლეგებს, რომ ჩამოსულიყვნენ საქართველოში. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა კერძო სექტორის ძლიერი პოზიციები რუსულ ბაზარზე... შესაბამისად, გაზომვა მოხდა ბოლო წლებიდან გამომდინარე, ამიტომ დაჯამდა ციფრი და ჩავთვალეთ, რომ ჩვენი ტურიზმის ჯამურ ინდუსტრიაში 25% არის რუსეთის მოქალაქეების წილი, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ 25% არაა დამოკიდებულების პროცენტი, ეს არაა დომინანტი წილი ანუ ვერცერთი ადამიანი ვერ იტყვის, რომ ქვეყანა იყო დამოკიდებული კონკრეტულ ბაზარზე, რადგან დანარჩენ 75%-ზე ასევე ციფრები მეტყველებს გამჭვირვალედ, – განაცხადა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.

ამასთან, ქვრივიშვილის შეფასებით, რუსეთში მარკეტინგზე თანხა იხარჯებოდა იმიტომ, რომ ქვეყნის სწორი პოზიციონირება მომხდარიყო.

– შევჯერდით, რომ ეს სწორად გაკეთდა, რადგან ქვეყანა პოზიციონირებულია, როგორც თავისუფალი, დემოკრატიული, ევროპული ქვეყანა და, შესაბამისად, რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც ამ ქვეყანაში ჩამოდიოდნენ, მოსწონდათ საქართველო, უკან ბრუნდებოდნენ და კიდევ ჩამოდიოდნენ და ასევე, რეკომენდაციებს სხვებსაც უწევდნენ; ეს არის ის, რაც მუშაობს და მუშაობდა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, – განმარტა მან და კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ რუსეთის 25%-იანი წილი საქართველოს ტურიზმის ჯამურ ინდუსტრიაში იყო ის ძირითადი ინდიკატორი, რომ „ეს ბაზარი დღეს კიდევ უფრო მეტ ჩართულობას არ საჭიროებს“.

– 25% უკვე საკმაოდ მდგრადად შემდგარი ციფრია და ბოლო წლების განმავლობაში დინამიკა მზარდი იყო. ჩვენ თუ შევხედავთ, თვიდან თვემდე იყო 30%-იანი ზრდის ტენდენცია რუსეთიდან ჩამოსული ვიზიტორების, – აღნიშნა მან.

ცნობისთვის: 2013 წლიდან მოყოლებული რუსეთიდან ვიზიტორების რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა და გასულ წელს 1.4 მლნ ვიზიტორს მიაღწია.

ამ წლების განმავლობაში იზრდებოდა რუსი ტურისტების/ვიზიტორების მიერ საქართველოში დახარჯული თანხის მოცულობა. მაგ.: 2018 წელს რუსების მთლიანმა ტურისტულმა ხარჯმა 1.9 მლრდ ლარი შეადგინა, ხოლო 2019 წლის პირველ კვარტალში – 318.5 მლნ ლარი, თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რუსი ტურისტები ვერც 2018 წელს და ვერც 2019 წლის პირველ კვარტალში ვერ მოხვდნენ იმ თ -10 ქვეყანას შორის, რომლის მოქალაქეებიც საქართველოში ყველაზე მეტ ვალუტას ხარჯავენ. უფრო მეტიც, თუ შარშან რუსეთიდან ერთმა ვიზიტორმა ერთ ვიზიტზე 1326 ლარი დახარჯა, წელს პირველ კვარტალში უფრო ნაკლები – 1135 ლარი დახარჯა, მაშინ როდესაც ამერიკელი, ჩინელი, ფრანგი თუ ირანელი ტურისტი 2000 ლარს და მეტს ტოვებს ქვეყანაში.

BMG

რა პერიოდიდან შეგეძლებათ „პრავის“ აღება?



ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის მოწმობის მისაღებად საჭირო ასაკი, შესაძლოა, შეიცვალოს.

ამის შესახებ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონში დაგეგმილი ცვლილებების კანონპროექტშია აღნიშნული.

პროექტი, რომლის ავტორიც შინაგან საქმეთა სამინისტროა, პარლამენტში უკვე წარდგენილია. ცვლილებების მიხედვით, საუბარია A1 ქვეკატეგორიისა (მოტოციკლი) და B კატეგორიის (მსუბუქი ავტომობილი) მართვის მოწმობებზე. შესაბამისად, თუ აქამდე ამ კატეგორიებზე მართვის უფლება პირი 17 წლიდან იღებდა, ცვლილების შედეგად ეს ასაკი 18 წელი გახდება.

– ევროკავშირის წევრი 28 სახელმწიფოდან დიდ უმრავლესობაში B კატეგორიის მართვის მოწმობის უფლების მინიჭება ხდება 18 წლიდან. იმ ქვეყნებში, სადაც აღნიშნული კატეგორიებისთვის მინიმალური ასაკი არის 17 წელი, საგზაო უსაფრთხოების ნორმები გაცილებით მაღალ დონეზეა, ვიდრე ამ ეტაპზე საქართველოში. მიუხედავად საქართველოში დღეისათვის მოქმედი ქულათა სისტემის, უკონტაქტო პატრულირებისა და ტექნიკური ინსპექტირების რეგულაციებისა, საგზაო უსაფრთხოება კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. შესაბამისად, აღნიშნული ცვლილებაც ემსახურება საგზაო უსაფრთხოების დონის გაუმჯობესებას, – აღნიშნულია პროექტის განმარტებით ბარათში.

BPN.GE

რამდენმა ადამიანმა ისარგებლა 20%-იანი ფასდაკლებით თბილისში დაფიქსირებულ ვიდეოჯარიმებზე

მიმდინარე წლის 1-ლ კვარტალში თბილისში დაფიქსირებული ვიდეოჯარიმებიდან 44.7%-ის შემთხვევაში მძღოლებმა ფასდაკლებით ისარგებლეს.

საუბარია 20%-იან ფასდაკლებაზე, რომლითაც მოქალაქე იმ შემთხვევაში ისარგებლებს, თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ შესაბამისი სმს-შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარულ დღეში გადაიხდის ჯარიმას.

რაც შეეხება 1-ლი კვარტლის სტატისტიკას, შს სამინისტროს მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-მარტში დედაქალაქში, ჯამში, 280.475 ვიდეოჯარიმა დაფიქსირდა. აქედან 125.395 შემთხვევაში მოქალაქეებმა 20%-იანი ფასდაკლებით ისარგებლეს.

შეგახსენებთ, რომ 2018 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვიდეოჯარიმების აღსრულების ახალი წესი. „ჭკვიანი კამერები“ დამრღვევ მძღოლებს აჯარიმებენ მათ შორის: შუქნიშნის წითელ ფერზე გავლის, ორმაგი ღერძულა ხაზის გადაკვეთის, სიჩქარის გადაჭარბებისა და სხვა მიზეზების გამო.

BPN

თურქეთს არ დავიწყებია 2016 წლის 15 ივლისი და მეზობელი საქართველოს თანადგომა

თურქეთს არ დავიწყებია 2016 წლის 15 ივლისი და მეზობელი საქართველოს თანადგომა.

2016 წლის 15 ივლისის ღამეს ფეთულაჰის ტერორისტული ორგანიზაციის (FET) მიერ დაგეგმილი მუხანათური სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა მარცხით დასრულდა, ვინაიდან თურქმა ხალხმა მტკიცედ დააფიქსირა დემოკრატიისადმი თავისი ერთგულება.

შეიარაღებულ ძალებში მოკალათებული FET-ს წევრებისა და ორგანიზაციის სამოქალაქო ელემენტების ჩართულობით 15 ივლისს მათ მიერ ხელისუფლების დამხობის მცდელობამ შეიწირა ჩვენი 251 მოქალაქის სიცოცხლე, ხოლო 2000-ზე მეტი დაშავდა.

იმ ღამეს დაიბომბა: პრეზიდენტის სასახლე, პარლამენტის, ეროვნული უშიშროებისა და უსაფრთხოების ორგანიზაციების შენობები. ტანკებით გადაუარეს მშვიდობიან მოქალაქეებს, დაბომბეს და ცეცხლი გაუხსნეს მათ ვერტმფრენებიდან.

ჩვენ პატივს მივაგებთ თურქეთის მომავლისა და დემოკრატიისათვის თავდადებულ, დაღუპულთა წმინდა სულებს, ხოლო მებრძოლებისადმი გამოვხატავთ მადლიერების გრძნობას.

თურქეთის რესპუბლიკის საელჩო საქართველოში

კოშმარი ბათუმი-ქობულეთის გზაზე

3 მინივენი დაეჯახა ერთმანეთს. დაიღუპნენ არაბი ცოლ-ქმარი და მათი ბიჭი

13 ივლისს ბათუმი-ქობულეთის შემოვლით გზაზე ერთმანეთს 3 მინივენი შეეჯახა.

აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ავარიის შედეგად ჯამში 13 ადამიანი დაშავდა, 2 მათგანი, მძღოლები, საქართველოს მოქალაქეები არიან, დანარჩენები კი უცხო ქვეყნის მოქალაქეები, პოლონელი და არაბი ტურისტები არიან.

ავარიის შედეგად ცოლ-ქმარი, არაბი ტურისტები დაიღუპნენ, მათი მცირეწლოვანი შვილები კი მძიმე მდგომარეობაში კლინიკაში გადაიყვანეს.

როგორც „ევექსის ჰოსპიტალის“ მენეჯერი, ირინა დოლიძე „კურიერთან“ საუბრისას ამბობს, მათთან ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დაშავებული 10 პაციენტი გადის მკურნალობას. მათგან ორის ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა, 6-ის კი შედარებით მსუბუქი.

მოგვიანებით მცირეწლოვანი გოგონა თბილისში, იაშვილის კლინიკაში სასწრაფო დახმარების ბრიგადამ გადმოიყვანა, მისი ძმა კი ბათუმის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრში რეანიმაციულ განყოფილებაში კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაში დარჩა.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა ზაალ მიქელაძემ განუცხადა. მისი თქმით, მეორე მცირეწლოვნის თბილისში ტრანსპორტირება შეუძლებელი იყო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

– ავარიის დროს სულ ორი მოზარდი დაშავდა. ერთ-ერთი თბილისში გადავიყვანეთ, ხოლო მეორე ბათუმის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრში რეანიმაციულ განყოფილებაში იმყოფება. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულად მძიმეა და ამიტომ შეუძლებელი იყო თბილისში გადაყვანა. მას თავის არეში მძიმე ტრავმები აქვს მიღებული.

რაც შეეხება სხვა დაშავებულებს, 9 ადამიანი ქობულეთის 2 საავადმყოფოშია მოთავსებული, რომელთა ნაწილს ოპერაცია ამ წუთებში უტარდებათ. უმრავლესობა პოლონეთიდან ტურისტული მიზნით იმყოფებოდნენ. დაშავებულთა შორის ორი ქართველია, ისინი მძღოლები არიან.

ავარიის დროს მამაკაცი ადგილზე დაიღუპა, ხოლო ქალი ქობულეთის საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. დაღუპული ცოლ-ქმარი ამ ბავშვების მშობლები არიან. ჩვენ მაქსიმალურს ვაკეთებთ მათ დასახმარებლად, – განაცხადა ზაალ მიქელაძემ 13 ივლისს საღამოს.

14 ივლისს 5 წლის ბიჭი ბათუმის დედათა და ბავშვთა სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა. ზაალ მიქელაძის თქმით, მცირეწლოვანს სიცოცხლისთვის შეუთავსებელი ტრავმები აღენიშნებოდა.

– ბავშვის და, 6 წლის გოგონა, თბილისში აგრძელებს მკურნალობას, დაშავებული 9 ადამიანი ქობულეთის 2 საავადმყოფოში არის მოთავსებული, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, – განაცხადა აჭარის ჯანდაცვის მინისტრმა.

შსს-ის ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც სატრანსპორტო მოძრაობისას წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე მინივენმა 50 წლის მამაკაცი გაიტანა და მოკლა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა რუსთავი-თბილისის მაგისტრალზე.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, მინივენი, რომელსაც მგზავრები გადაჰყავდა, ავტობანზე ქვეითს დაეჯახა.

შეჯახების შედეგად 60 წლამდე მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, მამაკაცი ჩქაროსნულ მაგისტრალზე ფეხით გადაადგილდებოდა.

ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი.

საგარეჯოში საზამთროთი სავსე სატვირთო ოპელს დაეჯახა და ამოტრიალდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში – ერთმანეთს „ოპელის“ მარკის ავტომობილი და „ფორდის“ მარკის სატვირთო ავტომობილი დაეჯახნენ.

შეჯახების შედეგად სატვირთო ავტომობილი, რომელიც საზამთროთი იყო დატვირთული, ამოტრიალდა.

ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიცია.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ბაჩო ახალაია სტრასბურგის სასამართლოს მიმართავს

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია, რომელიც სერგო თეთრაძის საქმეზეა მსჯავრდებული, საქმეს სტრასბურში წაიღებს. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ მისმა ადვოკატმა ანი ნადარეიშვილმა განუცხადა.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ძალაში დარჩა ორი ინსტანციის მიერ ბაჩო ახალაიასთვის გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

როგორც ნადარეიშვილი განმარტავს, აღნიშნული გადაწყვეტილება მისთვის მოულოდნელი არ ყოფილა. ნადარეიშვილი საქმეს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში კანონით განსაზღვრულ, 6 თვის ვადაში გაგზავნის.

– ერთადერთი ის შემიძლია გითხრათ, რომ ამ ქვეყანაში სასამართლო არ არსებობს. უკვე დიდი ხანია, წლებია, ველოდები ამ განაჩენს, რომ საქმე სტრასბურში გავაგზავნო. არც არანაირი რეაქცია მქონია და არც არანაირი მოლოდინი, საერთოდ არ მაინტერესებდა, ბიძინა ივანიშვილის სასამართლო რას გამოიტანდა.

ბაჩოსაც იგივე მოლოდინი ჰქონდა, მასთან ყოველდღე შევდივარ, როგორც ადვოკატი.

თეთრაძის საქმე განსაკუთრებით ახლა არის ყველაზე აქტუალური საქმე, ყველა ვხედავთ, რომ მთელი მთავრობა რუსული გვყავს და რაც მოხდა, ყველამ დავინახეთ. ჯაშუშების საქმე არის, მოსკოვიდან სკაიპით ჩაერთო ერთ-ერთი ჯაშუში, რომელსაც ჯაშუშის ბრალდება მოუხსნეს და გაამართლეს, მოსკოვში გაიქცა და იქიდან სდებდა ბაჩოს ბრალს, – განაცხადა ნადარეიშვილმა.

პროკურატურის ინფორმაციით, სასამართლოს განაჩენების თანახმად, თავდაცვის ყოფილი მინისტრი დამნაშავედ არის ცნობილი სერგო თეთრაძის წამებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედების ორგანიზების ეპიზოდებში, დავით ლონდარიძის წამების, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი სიყალბის და დიდი ოდენობით საბიუჯეტო თანხების გაფლანგვაში თანამონაწილეობის ეპიზოდებში.

„გოგო ხარ თუ ბიჭი?!“

მაჩაბლის ქუჩაზე მოზარდებმა ბიჭი გრძელი თმის გამო ცემეს

12 ივლისის, ღამით, თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე, ინციდენტი მოხდა. თვითმხილველი კაცი, რომელსაც უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ვინაობის გამხელა არ სურს, ნეტგაზეთს უყვება, რომ მოზარდების აგრესიულმა ჯგუფმა ჯერ უცხო ქვეყნის მოქალაქეები შეურაცხყო, შემდეგ კი ბიჭს გრძელი თმის გამო სცემა.

თვითმხილველის თქმით, მოვლენები სწრაფად განვითარდა: თავდაპირველად პირები ქუჩაზე მდებარე „ტაილანდური მასაჟის“ კარზე აბრახუნებდნენ და შიგნით მყოფებს უყვიროდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ.

– ამის შემდეგ ქუჩის მეორე მხარეს არაბი ქალების ჯგუფი გამოჩნდა – ყველა ჰიჯაბით იყო. მათ დაუწყეს ყვირილი და მრავალი ცუდი სიტყვა უთხრეს, უყვიროდნენ, თუმცა ახლოს არავინ მისულა, – აცხადებს ის.

მისივე განცხადებით, შემდგომ ქუჩაზე გრძელთმიანმა ბიჭმა ჩამოიარა, რასაც ასევე მოჰყვა ადგილზე მყოფ მოზარდთა გაღიზიანება. თვითმხილველის თქმით, მათ ფიზიკურად შეურაცხყვეს ბიჭი, პარალელურად კი მის თმაზე მიანიშნებდნენ.

– როდესაც ბიჭი მათ მიუახლოვდა, ძალადობრივი გზით დაუპირისპირდნენ. უყვიროდნენ, გოგო ხარ თუ ბიჭიო და შეურაცხყოფას აყენებდნენ. ერთ-ერთმა ბიჭმა, რომელიც შემდგომ პოლიციამ აიყვანა, ასფალტზე დააგდო ის, პარალელურად კი სხვები ურტყამდნენ. მას გზის მოპირდაპირე მხარეს მყოფი ორი გოგო დაეხმარა, – ყვება თვითმხილველი.

ადგილზე მოსულმა პოლიციამ ერთ-ერთი მოზარდი წაიყვანა.

ნეტგაზეთი დეტალების გასარკვევად შსს-ს დაუკავშირდა.

უწყებაში ადასტურებენ, რომ ინციდენტი მართლაც მოხდა და პოლიცია ადგილზე შეტყობინების საფუძველზე გამოცხადდა. თუმცა, სამინისტროში ინფორმაცია აქვთ მხოლოდ დაპირისპირების შესახებ, რომლის დროსაც ორ პირს მესამე პირთან მოუვიდა ჩხუბი.

შსს-ს ცნობით, გამოძიება სსკ-ის 126-ე მუხლით დაიწყო, რაც ძალადობას გულისხმობს. მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის, გამოკითხვები.

მოგვიანებით ნეტგაზეთი სალომე კვარაცხელიას დაუკავშირდა. ის ერთ-ერთია იმ ადამიანთაგან, რომლებიც ინციდენტში ჩაერევნენ და დაზარალებულ ბიჭს დაეხმარნენ.

სალომე კვარაცხელიას თქმით, ბიჭი ამჟამად თავს ნორმალურად გრძნობს, თუმცა მანამდე თავის არეში ორი ნაკერის დადება დასჭირდა.

– რომ გავაშველეთ, კიდევ იწევდნენ. მეგობრებთან ერთად იყვნენ, არ იყვნენ მარტო. კიდევ ერთხელ რომ წამოვიდნენ, მერე უკვე დავრეკე პატრულში, რომელიც, დაახლოებით, 7-10 წუთში მოვიდა. მერე მოჰყვა სასწრაფოც, – ყვება ის.

სალომე კვარაცხელია ასევე გამორიცხავს შელაპარაკებას მხარეებს შორის.

მისი თქმით, აგრესიული ჯგუფი გრძელი თმის გამო დაზარალებულს თავს მაშინ დაესხა, როცა ის, უბრალოდ, ქუჩაზე მიდიოდა.

რუსთავში 3 წლის ბიჭი პირველი სართულის ფანჯრიდან გადავარდა

რუსთავში, მე-20 მიკრორაიონში, 3 წლის ბავშვი პირველი სართულის ფანჯრიდან გადავარდა.

სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ეკიპაჟმა მცირეწლოვანი რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანა.

როგორც კლინიკაში „ინფო რუსთავს“ განუცხადეს, მოზარდის მდგომარეობა სიცოცხლესთან შეუსაბამო არ არის.

– 3 წლის ბიჭუნა შემოყვანილია სასწრაფო დახმარების ეკიპაჟის მიერ. გასინჯვით ამ ეტაპზე ბავშვი კონტაქტურია, რეფლექსები შენახულია, თუმცა აღენიშნება ზედაპირული დაზიანება სახის მიდამოში. მიმდინარეობს კვლევები.

სანამ კვლევები არ დასრულდება, დაზუსტებულ პასუხს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ვერ გეტყვით, – განაცხადა რუსთავის ცენტრალური საავადმყოფოს ექიმმა.

ახალციხეში ტოიოტა 2 მანქანას დაეჯახა

2 ქალი დაშავდა

13 ივლისს ახალციხეში ავარია მოხდა. საავტომობილო გზაზე ტოიოტას მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და 2 ავტომანქანას დაეჯახა.

– ძლიერი ხმაური იყო და გარეთ გამოვედი. როგორ მოხდა, არ ვიცი, მანქანები აღარ გამოდგება. ერთ მანქანას ქართული ნომრებიც არ აქვს, მგონი, დასასვენებლად იყვნენ ჩამოსულები, – ამბობს ერთ-ერთი თვითმხილველი.

შემთხვევის შედეგად მსუბუქი დაზიანებები მიიღო ორმა ქალმა. ისინი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ახალციხის კლინიკა „იმედში“ გადაიყვანეს.

– მდგომარეობა მძიმე არ არის. ერთს მსუბუქი ტრავმა აქვს, მარჯვენა ხელზე ბზარი და თავზე აქვს პატარა ჭრილობა. მეორეს მენჯ-ბარძაყის სახსარზე აქვს პრობლემა. სერიოზული არაფერია, – ამბობენ კლინიკა „იმედში“.

ადგილზე მუშაობდნენ საპატრულო პოლიციისა და სამაშველო სამსახურის ბრიგადები.

შსს-ს ინფორმაციით, საქმეზე ძიება 276-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს. რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს და რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გამოიწვია.

სამხრეთის კარიბჭე

ნორიოში ამწე დაგორდა და 8 მანქანას დაეჯახა

1 ადამიანი დაიღუპა, 4 დაშავდა

გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოს მიმდებარე ტერიტორიაზე, „შემოვლით გზაზე“, ტვირთების ამწე მანქანა დაგორდა და 8 ავტომობილს დაეჯახა.

„ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ტვირთების ამწე მანქანა აღმართზე მიდიოდა, როდესაც სამუხრუჭე სისტემა მწყობრიდან გამოვიდა და დაგორდა.

დაგორებული მანქანა მის უკან მიმავალ 8 მანქანას დაეჯახა, მათ შორის იყო ტრაილერი, რომლის მძღოლიც ადგილზე გარდაიცვალა, მის გვერდით მჯდომი კი „კლინიკა რუსთავში“ გადაიყვანეს და მისი მდგომარეობა საშუალო სიმძიმის არის.

ავტოსაგზაო შემთხვევის დროს კიდევ 4 ადამიანი დაშავდა.

მომხდარზე გამოძიება სსკ 276-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს.

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

აშშ თურქეთს სანქციებს დაუწესებს

ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია უკვე ჩამოყალიბდა იმ სანქციებზე, რომლებსაც თურქეთს დაუწესებს რუსეთისგან რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემების შესყიდვის გამო.

სანქციების შესახებ ადმინისტრაცია განცხადებას უახლოეს დღეებში გააკეთებს. ამის შესახებ „ბლუმბერგი“ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება.

მისივე ცნობით, წყაროები არ აკონკრეტებენ, რა სანქციებზეა საუბარი. ისინი ჯერ ქვეყნის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა უნდა დაამტკიცოს.

თურქეთმა პარასკევიდან დაიწყო რუსული რაკეტსაწინააღმდეგო კომპლექს „ეს-400“-ის კომპონენტების მიღება, რაც, შეერთებული შტატების განცხადებით, საფრთხის ქვეშ აყენებს პენტაგონის ყველაზე ძვირადღირებულ პროგრამას, გამანადგურებელ „ეფ-35“-ს.

ამერიკამ არაერთგზის გააფრთხილა თურქეთი, რომ ეკონომიკურ სანქციებთან მოუწევს გამკლავება, თუკი რუსეთისგან აღნიშნულ სისტემას შეიძენდა.

თურქეთის თავდაცვის მინისტრი ჰულუსი აკარი თავის ამერიკელ კოლეგა ესპერს დაუკავშირდა. საუბრის ძირითადი თემა იყო რუსეთის მიერ თურქეთისთვის ეს-400 ტიპის რაკეტების მიწოდება.

აკარმა რუსული რაკეტების მიწოდება საგარეო საფრთხით ახსნა. ამავე დროს, მან არ დააკონკრეტა, რა საფრთხეს გულისხმობდა.

პარალელურად მან ხაზი გაუსვა, რომ თურქეთი კვლავაც ნატოზე ორიენტირებული ქვეყანაა.

– ჩვენი საგარეო ორიენტაცია არ იცვლება, – ამბობს აკარი.

ბაიდენი ტრამპს აკრიტიკებს



აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი ნიუიორკელ სტუდენტებს შეხვდა. როგორც ცნობილია, ბაიდენი აშშ-ის პრეზიდენტობაზე კენჭისყრას აპირებს.

ბაიდენმა პრეზიდენტი ტრამპი მწვავედ გააკრიტიკა. მის საყვედურში უმთავრესი ის იყო, რომ ტრამპმა აშშ-ის გლობალური პროცესების ხელმძღვანელის როლზე უარი განაცხადა. შედეგად რუსეთის ძირგამომთხრელი საქმიანობა გააქტიურდა და დემოკრატიის პოზიციები მთელ მსოფლიოში შესუსტდა.

ბაიდენმა სტუდენტებს აღუთქვა, რომ პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში აღადგენს აშშ-ის როლს და მთელი მსოფლიოს მასშტაბით გააძლიერებს დემოკრატიის პოზიციებს.

„ედინაია როსიას“ რეიტინგი ეცემა

რუსეთის მმართველი პარტიის „ედინაია როსიას“ რეიტინგი ეცემა, რუსეთის ტერიტორიაზე კი ანტიპუტინური დემონსტრაციები გახშირდა.

ასე მაგალითად, რამდენიმე ხნის წინ ჩიტაში მასობრივი ანტიპუტინური მიტინგი გაიმართა. მისი ორგანიზატორი გაბიშევი იყო. მან საკუთარ თავს შამანი უწოდა.

– ფეხით მივდივარ მოსკოვში, რათა ბოროტი სული ანუ პუტინი განვდევნო, – გაბიშევის ამ სიტყვებს მქუხარე ტაში მოჰყვა.

ექსპერტების აზრით, პუტინის პოპულარობის მკვეთრი დაცემა გაჭიანურებულმა ომებმა და დასავლეთის სანქციებმა გამოიწვია. შედეგად ეკონომიკა გაჩანაგდა. მოსახლეობის ცხოვრების დონემ დაიწია.

ქვეყანაშიც ოპოზიციური განწყობილებები გაძლიერდა.

ინგუშეთში ჟურნალისტი დააკავეს

ინგუშეთში ფსბ-ს თანამშრომლებმა ოპოზიციონერი ჟურნალისტი რაშიდ მირგალიმოვი დააკავეს.

მისი ბინიდან ნარკოტიკები ამოიღეს.

– ოპოზიციონერთათვის ნარკოტიკის ჩადება რუსული ძალოვნების ხელწერაა, – აცხადებს ჟურნალისტის ადვოკატი.

ფსბ-ს შენობაში მირგალიმოვს სცემეს. ჟურნალისტისგან მოითხოვეს, რათა ნარკოტიკების შენახვა-გასაღებაში ბრალი ეღიარებინა. მირგალიმოვმა კატეგორიული უარი განაცხადა.

ტერაქტი სომალიში

სომალიში ტერაქტი მოხდა.

მებრძოლთა ჯგუფი ქალაქ კოსმაიოში შევარდა და სასტუმროს თავს დაესხა. ამ დროს სასტუმროს კონფერენც-ჰოლში მიმდინარეობდა შეხვედრა ადგილობრივ პოლიტიკოსებსა და ჟურნალისტებს შორის.

სატვირთო მანქანა, რომელშიც ასაფეთქებელი იდო, სასტუმროს შენობას დაეჯახა. ამის შემდეგ შეიარაღებული ტერორისტები უკვე სასტუმროში შეცვივდნენ და სროლა ატეხეს.

დაიღუპა 33 ადამიანი. თავდამსხმელებმა გაქცევა მოახერხეს.

მანჰეტენი 5 საათის განმავლობაში ჩაბნელდა

ნიუ იორკის ცენტრში იშვიათი შემთხვევა დაფიქსირდა. მანჰეტენზე დაახლოებით 5 საათის განმავლობაში ელექტროენერგია გათიშული იყო.

ავარია, რომლის შედეგად, ჯამში, 70.000-მდე ობიექტი დენის გარეშე დარჩა, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზით მოხდა.

ელექტროენერგიის გათიშვამ, ბიზნეს და კულტურული დაწესებულებების გარდა, ტრანსპორტის შეფერხებაც გამოიწვია. რამდენიმე საათის განმავლობაში გაჩერებული იყო მეტრო.

მანჰეტენზე დენის გათიშვა 1977 წელს მომხდარი მასშტაბური გათიშვის თარიღს ემთხვევა. გასულ საუკუნეში მომხდარი ამ გახმაურებული შემთხვევის დროს, როდესაც ნიუ იორკი ჩაბნელდა, არაერთი ძარცვა და გატაცება მოხდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ჯალეიდოსკოპი

მცხობელის შეცდომამ სოციალური ქსელის მომხმარებლები გაამხიარულა

ამერიკის ჯორჯიის შტატის მკვიდრმა დაბადების დღეზე მიიღო ტორტი, რომელიც მცხობელმა შეცდომით გააფორმა.

25 წლის კენსლი დევისის დედამ გადაწყვიტა, შვილის დაბადების დღისთვის ტორტი შეეკვეთა. მან მცხობელს სთხოვა, რომ ის გოგონას საყვარელი დისნეის მულტფილმის მთავარი გმირის, მოანას გამოსახულებით გაეფორმებინა. თუმცა მცხობელმა სწორად ვერ გაიგო ქალის თხოვნა და ტორტი მარიხუანის ფოთლების გამოსახულებით გააფორმა.

ამ შეცდომამ გოგონა გაამხიარულა და მან ტორტის ფოტოსურათი ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. სურათზე ჩანს ცხენის გამოსახულება, რომელიც ნარკოტიკული თრობის ქვეშ იმყოფება და ასევე დაბადების დღის მილოცვა. დევისმა ასევე აღნიშნა, რომ ტორტი ძალიან გემრიელი იყო.

გამილიონერებულმა ქალმა სამსახური არ მიატოვა

ლატარიის გამარჯვებულმა ბრიტანელმა ქალბატონმა აღიარა, რომ უზარმაზარმა მოგებამ მისი ცხოვრება ვერ შეცვალა.

რუტ ბრინმა 2014 წლის ივლისში მილიონი ფუნტი სტერლინგი მოიგო ლატარიის გათამაშება ევრომილიონში. მაშინ ის 35 წლის იყო. ქალი იხსენებს, რომ ძალიან არ გაუკვირვებია ლატარიის გათამაშების ორგანიზატორებისგან მიღებულ ელექტრონულ წერილს, ვინაიდან ის არაფრით განსხვავდებოდა ადრინდელი წვრილმანი მოგებების დროს მიღებული შეტყობინებისგან, მაგრამ, როდესაც შეტყობინება გახსნა, სიხარულისგან ცას ეწია.

ქალის თქმით, მან, პირველ რიგში, ახალი ტანსაცმელი და მშვენიერი ფეხსაცმელი შეიძინა. ბრინის აღიარებით, ის დიდი ხანია, ჯიმი ჩუს ძვირფას ფეხსაცმელზე ოცნებობდა და ახლა ეს ოცნება აიხდინა.

მან იმ დროისთვის თავისი 11 წლის ქალიშვილი კერძო სკოლაში მიიყვანა და ოდნავ შეამცირა საკუთარი სამუშაო განრიგი საავადმყოფოში, თუმცა სამსახურზე უარი არ თქვა.

– დიახ, მილიონი სერიოზული თანხაა, თუმცა არასაკმარისი იმისთვის, რომ 35 წლის ასაკში პენსიაზე გავიდე, – განუცხადა მან ჟურნალისტებს.

მამაკაცმა შხაპი ლინზებით მიიღო და ცალი თვალით დაბრმავდა

ინგლისის ქალაქ შრუსბერიში მამაკაცს შხაპის მიღების წინ თვალებიდან ლინზების მოხსნა დაავიწყდა და ერთ თვალში მხედველობა დაკარგა.

29 წლის ნიკ ჰამფრისმა 2018 წლის დასაწყისში თვალზე ნაკაწრი შენიშნა. მან გადაწყვიტა, ექიმისთვის მიემართა და მას აკანტამებნის კერატიტი დაუდგინეს. ბრიტანელის მარჯვენა თვალის რქოვანაზე ექიმებმა ამება აღმოაჩინეს, რომელიც თვალში კონტაქტური ლინზის მიერ გაჩენილი მცირე ნაკაწრიდან აღწევს წყალთან შეხებისას.

რამდენიმე თვის განმავლობაში ჰამფრისი თვალის წვეთებს იყენებდა, რომელსაც ბაქტერიები უნდა გაენადგურებინა, მაგრამ რაღაც მომენტში მხედველობა უცბად დაკარგა და აღარ აღუდგა.

მამაკაცმა რამდენიმე ოპერაცია გადაიტანა. ექიმები თვალის ამპუტაციასაც არ გამორიცხავდნენ. ამჟამად ის ინფექციის მიერ განადგურებული რქოვანის ტრანსპლანტაციის მოლოდინშია.

ქალს, რომელმაც თოჯინა ბარბის დასამსგავსებლად სოლიდური თანხა დახარჯა, მახინჯი უწოდეს

ნიდერლანდების დედაქალაქ ამსტერდამის მცხოვრებმა 117 ათასი ფუნტი სტერლინგი დახარჯა პლასტიკურ ოპერაციებში იმისთვის, რომ თოჯინა ბარბის დამსგავსებოდა.

40 წლის კონსტანცია დიმოლამ მკერდის გადიდების, ტერფების ლიპოსაქციის, ცხვირის კორექციის, სახის კონტურების შეცვლის, თვალების ფორმისა და ტუჩების გადიდების ოპერაციები გადაიტანა. ქალმა აღიარა, რომ მსოფლიოში ყველაზე დიდი მკერდის ქონაზე ოცნებობს.

– როდესაც ხუთი წლის ვიყავი, ჩემს თოჯინა ბარბის ვუყურებდი და მინდოდა, მას დავმსგავსებოდი, – განაცხადა პლასტიკური ოპერაციების მოყვარულმა.

დიმოლას თქმით, ქუჩაში გამვლელები მის გარეგნობას უკმაყოფილოდ ხვდებიან. მან გაიხსენა, ერთხელ როგორ მივიდა მასთან უცნობი ქალი და მონსტრი უწოდა.

– როდესაც მაღაზიებში შევდივარ, ხალხი დამცინის. ისინი მახინჯს, საშინელებას, საზიზღარსა და სხვა უსიამოვნო სიტყვებს მეძახიან, – ამტკიცებს დიმოლა, – თუმცა, მთავარი ის არის, რომ თავად მე ეს ყველაფერი მომწონს, დანარჩენს კი მნიშვნელობა არ აქვს.

ნიდერლანდელი აცხადებს, რომ შეჩერებას არ აპირებს. ამ მომენტისთვის ის ცხვირის, დუნდულებისა და მკერდის პლასტიკური ოპერაციისთვის ემზადება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

განცხადებები

სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სული პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ბითაძე ინდიანაპოლისშია – ვიზა არის, კონტრაქტი იქნება

გოგა ბითაძემ ამერიკის სამუშაო ვიზა მიიღო და უკვე ინდიანაპოლისში იმყოფება. ერთია, 19 წლის ქართველმა ცენტრმა ნბა-ს საზაფხულო ლიგაზე დააგვიანა და ვერც ერთ შეხვედრაში ვერ მიიღო მონაწილეობა. ინდიანამ 5 მატჩი გამართა მის გარეშე, ყველა წააგო და საზაფხულო ლიგის ფლეი ოფში ვერ გავიდა.

არადა, ექსპერტები ამტკიცებენ, რომ გოგასთან ერთად ინდიანა სულ სხვა გუნდი იქნებოდა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ დრაფტის პირველ წრეში არჩეული 30 კალათბურთელიდან 26-მა უკვე გააფორმა კონტრაქტები ნბა-ს კლუბებთან, რჩება მხოლოდ 4 – ბოსტონს არ გაუფორმებია ხელშეკრულება ლანგფორდთან და უილიამსთან, ხოლო ორლანდოს – ოკეკესთან, მეოთხე გოგაა. თუმცა, ჩვენებურის პრობლემა უახლოეს საათებში უნდა მოგვარდეს.

სეზონის წინ ტრადიციულად გამოქვეყნდა ექსპერტთა შეფასებები თითოეული კალათბურთელისთვის ფენტეზი ნბა-ს ლიგებისთვის.

ბითაძეს ნბა-ში 48-ე ცენტრად მიიჩნევენ. ერთი ადგილით წინ, ვიდრე დრაფტზე არჩეული ბოლ ბოლი, მაგრამ ბითაძე ბისმარკ ბიომბოს ჩამორჩება. ექსპერტთა ვარაუდით, ბითაძეს სეზონში 3.6 ქულა, 2.9 მოხსნა, 0.7 პასი და 1.15 ბლოკი ექნება.

ამასობაში ინდიანას ვებგვერდზე ფანების შეკითხვებს საიტის ჟურნალისტმა მარკ მონტიერმ უპასუხა. ასე რომ, ეს პასუხები შესაძლებელია კლუბის ხელმძღვანელობის პოზიციადაც ჩაითვალოს.

გთავაზობთ მხოლოდ იმ მონაკვეთებს, სადაც საუბარი ქართველ კალათბურთელზეა.

– როგორ ფიქრობთ, შეძლებს გოგა როტაციაში საკმაო რაოდენობის სათამაშო წუთების მოპოვებას?

– 4 და 5 ნომრებზე წუთებს დომანტას საბონისი, მაილს ტერნერი და ბითაძე გაიყოფენ. ამ სამეულს, ჯამში, საკმაო რაოდენობის წუთები გამოუვა. კევინ პრიტჩარდმა მკაფიოდ განაცხადა, რომ ბითაძე როტაციაში იქნება. არა მგონია, რომ გოგას იმდენივე სათამაშო დრო ჰქონდეს, რაც ბოლო სეზონში კაილ ოქუინს ჰქონდა. ოქუინმა 45 მატჩი ითამაშა და მოედანზე საშუალოდ 8.2 წუთი გამოდიოდა – გოგას მეტი დრო ექნება! დომანტასი მძიმე ფორვარდის პოზიციაზე დაიწყებს, სათადარიგო ცენტრი კი ამ სეზონში მეტად დაგვჭირდება.

– ტერნერი და საბონისი – ორივე 23-23 წლისაა, ორივე მშრომელი და დადებითი პიროვნებაა. ორივეს ძალიან უნდა ინდიანაში თამაში და რატომ არის მედიაში ერთი ამბავი ატეხილი, რომ ერთ მათგანს დავატრეიდებთ?

– ჩვენთვის გაუგებარია იმის თქმა, რომ რადგან ბითაძე ავიყვანეთ, ან ტერნერს, ან საბონისს გავცვლით. რა თქმა უნდა, ბითაძე უნდა ჩამოყალიბდეს სასტარტო კალიბრის ცენტრად, მაგრამ ახლა ინდიანას სამივე სჭირდება. საბონისი და ტერნერი ერთად ითამაშებენ. რა თქმა უნდა, ტერნერს მოუწევს ფარქვეშ მეტი ქულის აღება, საბონისს კი პერიმეტრზე დაცვა, რაც უფრო მსუბუქ „ოთხიანებთან“ გაჭირდება, მაგრამ სამაგიეროდ, მას გვერდში ეყოლება ტერნერი, ლოგიკურად, უფრო მსუბუქ „ოთხიანებს“ საბონისის დაჭერა გაუჭირდებათ, როცა ის ფარქვეშიდან შეუტევს.

– გოგას და ტერნერს ოდესმე მოუწევთ ერთად თამაში?

– ჩვენ ვხედავთ ასეთ შესაძლებლობასაც. საინტერესო იქნება, ვინ დაჯდება პირველი, როცა სკამიდან გოგა ადგება, ტერნერი თუ საბონისი. ეს, ალბათ, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ როგორი მეტოქე გვეყოლება. „ოთხზე“ თამაში, საბონისის გარდა, ტერნერსაც შეუძლია. ფაქტია, ჩვენ გველის „მაღლების“ როტაცია პოზიციისდა მიუხედავად. 211 სმ. სიმაღლის მიუხედავად, სამივე მოძრავია და შეუძლიათ ფარქვეშ თამაშიც და პერიმეტრზეც.

საქართველომ სომხეთს 52 ქულით მოუგო

20 წლამდე ნაკრების 2 გამარჯვება

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა შთამბეჭდავად დაიწყო ევროპის ჩემპიონატი. მილოშ გლიგორიევიჩის გაწვრთნილი გუნდი კონტინენტის პირველობის ბ დივიზიონში ასპარეზობს და ტურნირის მონაწილე 21 ნაკრების მსგავსად მიზნად საუკეთესო სამეულში მოხვედრა აქვს დაგეგმილი, რათა მომავალი სეზონისთვის ელიტურ – ა დივიზიონში ასპარეზობის უფლება მოიპოვოს. საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე უკვე 2 გამარჯვება მოიპოვა.

პირველი მეტოქე ჰოლანდია გახლდათ, რომელიც სპეციალისტების მიერ ფავორიტად მიიჩნეოდა, თუმცა ქართველებმა ნიდერლანდელებს ისე მოუგეს, შანსი არ დაუტოვეს – 85:73.

საქართველოს ნაკრების გამარჯვება იმით უფროა დასაფასებელი, რომ მატჩის შუაწელში თითქმის კატასტროფული ჩავარდნის შემდეგ, ჩვენმა გუნდმა მოახერხა საკუთარი ძალებისა და თამაშისა პოვნა, 17 ქულის გამბათილებელ მეტოქეს ისევ მიაწვა და საბოლოოდ ისე გატეხა, ბოლო პერიოდში წარმატების მცირედი შანსიც არ მიუცია. არაერთხელ ყოფილა, რომ ჩვენს ნაკრებს სოლიდური ლიდერობის მიუხედავად საბოლოოდ წაუგია. პირიქითაც გვახსოვს, თუმცა ეს შეხვედრა იყო კარგი მაგალითი იმისა, რომ ბრძოლას, გააზრებულ თამაშს და მწვრთნელის დავალების შესრულებას შედეგი მოაქვს.

საქართველოს ნაკრებმა ჰოლანდიელებთან მატჩი უძლიერესად დაიწყო და პირველივე პერიოდის შემდეგ 15 ქულით – 31:16 დაწინაურდა. ჰოლანდიელებმა მეორე პერიოდში ქართველების შეჩერება მოახერხეს, თუმცა საკუთარი უპირატესობა ვერ წარმოაჩინეს. თამაში თანაბრად გაგრძელდა და შეხვედრის მე-16 წუთზე, დიდ შესვენებამდე 4 წუთით ადრე ლუკა მაზიაშვილის გარღვევის შემდეგ ქართველები 17 ქულით – 43:26 დაწინაურდნენ. სწორედ აქ მოხდა დიდი ჩავარდნა. ჰოლანდიელებმა სპურტი მოაწყვეს, რაშიც ქართველებმა ხელი ვერაფრით შეუშალეს და 14:0 გაქცევის შემდეგ, მეორე პერიოდის ბოლო წუთზე ჰოლანდიელებმა ჩამორჩენა 3 ქულამდე შეამცირეს – 40:43. ტაიი ივანე მეგენეიშვილის 2-დან 1 ზუსტი საჯარიმოთი დასრულდა და დიდ შესვენებაზე საქართველო 4-ქულიანი ლიდერობით გავიდა.

მე-3 პერიოდი ჰოლანდიელთა ზუსტი შეტევით გაიხსნა და ქართველებს სოლიდური ლიდერობიდან მხოლოდ 2 ქულა დარჩათ. სწორედ აქ მობილიზდნენ მილოშ გლიგორიევიჩის შეგირდები. მედგარი დაცვისა და შეტევაში გააზრებული გადაჯგუფების ხარჯზე ჰოლანდიელებს სივრცეები შეუზღუდეს, თავად კი ხან შორიდან, ხან საშუალო მანძილიდან, ხანაც ზუსტი გარღვევებით წარმატებით ლაშქრავდნენ მეტოქის ფარს და განავებული ლიდერობის აღდგენა გეგმაზომიერად გაგრძელდა. ქართველებმა 20:9 მოიგეს მესამე პერიოდი და ბოლო შესვენებაზე 15-ქულიანი ლიდერობით გავიდნენ – 64:49.

სადაც ერთხელ 14-ქულიანი გარღვევა მოაწყვეს, ჰოლანდიელებს კვლავ ჰქონდათ მოგების თეორიული შანსი, მაგრამ საქართველოს ნაკრების წევრებმა ამის შანსი არ მისცეს. შესანიშნავად თამაშობდა ჩვენი ნაკრების ყველა რგოლი, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ შეხვედრა ისე დასრულდა, ქართველების უპირატესობა 10 ქულას არ ჩამოსცილებია. საბოლოოდ საქართველოს ნაკრები დამსახურებულ გამარჯვებამდე მივიდა.

გამარჯვებაში ყველა კალათბურთელს მიუძღვის წილი, თუმცა სტატისტიკით და ამ მიმდევრობით ყველაზე შედეგიანები ეს მოთამაშეები იყვნენ: ცოტნე ცარციძე, ლუკა მაზიაშვილი, ზურა ჟღენტი და რატი ანდრონიკაშვილი. ცარციძე სასტარტო ხუთეულში არ ყოფილა, თუმცა მოედანზე ყველაზე მეტი – 34 წუთი გაატარა და ყველაზე ეფექტურიც იყო: 12 ქულა, 11 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა. მაზიაშვილიც სათადარიგო იყო და 30 წუთში 17 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. ზურა ჟღენტმა 14 ქულა და 7 მოხსნა დააგროვა, ანდრონიკაშვილის ანგარიშზე კი 26 ქულა (მატჩის ბომბარდირი), 8 პასი, 4 მოხსნა და 3 ჩაჭრა დაგროვდა. რატის ეფექტურობის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი ექნებოდა, თუმცა ბურთი 12-ჯერ დაკარგა და ამის გამო ეს შემაჯამებელი მაჩვენებელი გვარიანად შეუმცირდა.

მეორე გამარჯვება გლიგორიევიჩის გუნდმა აუტსაიდერ სომხეთთან მოიპოვა, რომელმაც პირველ ტურში შვედეთთან 26:149 წაგებით საკუთარი უსუსურობის ლუსტრაცია მოახდინა. ქართველებმა სომხებს 52 ქულით – 98:46 მოუგეს და ეს მატჩი მწვრთნელთა შტაბმა გუნდის შესათამაშებლად კარგად გამოიყენა.

თუკი პირველ, ჰოლანდიასთან მოგებულ მატჩში მოედანზე 10 მოთამაშე ვიხილეთ, სომხეთთან 12-ვე კალათბურთელმა ითამაშა. თანაც, მწვრთნელმა სათამაშო დრო ყველას თითქმის თანაბრად გადაუნაწილა. საქართველოს ნაკრების წევრთაგან 11-ის სათამაშო დრო 10-დან 20 წუთის ფარგლებში მერყეობდა. მხოლოდ დავით კაკუშაძემ ითამაშა 22 წუთი.

ქართველებს სომხების ძლევა არ გასჭირვებიათ. გლიგორიევიჩმა და მისმა ასისტენტებმა ეს მატჩი უფრო ტაქტიკისა და კომბინაციების დასამუშავებლად გამოიყენეს. შვედეთთან უმნიშვნელოვანესი მატჩის წინ აუტსაიდერთან ვარჯიშის დარი მატჩის ჩატარება ძალიან სასარგებლო გახლდათ.

საქართველოს ნაკრებში მეტოქის ფარი ყველამ დალაშქრა. შედეგიანობით საუკეთესო ბერდია ქავთარაძე გახლდათ, რომელმაც 15 წუთში 7 ქულა, 7 პასი და 5 ჩაჭრა მიითვალა და სარგებლიანობის უმაღლესი ინდექსი (19) დააფიქსირა. ლუკა მაზიაშვილმა (18 ინდექსი) 11 ქულა, 5 ჩაჭრა, 4 მოხსნა და 4 პასი მიითვალა. ნიკოლოზ მეცხვარიშვილმა 14 ქულა მოაგროვა, ვახტანგ გაფრინდაშვილის ანგარიშზე კი 12 ქულა და 4 მოხსნა დაგროვდა.

გრიზმანი: „მესისთან ერთად ვარჯიში და თამაში მხიბლავს“

ატლეტიკო ბარსელონას ფულს სთხოვს

ფრანგი ფეხბურთელი, მსოფლიოს ჩემპიონი ანტუან გრიზმანი, ბარსელონაში გადავიდა. „ბლაუგრანამ“ 28 წლის შემტევის გამოსასყიდი თანხა, 120 მილიონი ევრო, უკვე გადაიხადა.

გრიზმანმა ბარსელონასთან 5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი გამოსასყიდი თანხა 800 მილიონი ევრო იქნება.

მას შემდეგ, რაც ესპანეთში ფეხბურთელის გამოსასყიდი თანხის წესი მოქმედებს, ბარსელონამ ის მეოთხედ გამოიყენა. ფეხბურთელების კონტრაქტში გამოსასყიდი თანხის მითითება 1985 წელს დაიწყო.

ბარსელონამ ამ წესით პირველად ეს 1997 წელს ისარგებლა. ესპანეთის ჩემპიონატში ერთი ტური უკვე ჩატარებული იყო, როდესაც ლუი ვან გაალმა ხელმძღვანელობა დაარწმუნა, დეპორტივოდან რივალდო დაემატებინათ. ტრანსფერი 15 აგვისტოს განხორციელდა და 24 მილიონი ევრო დაჯდა.

2008 წელს ბარსამ სევილიას სეიდუ კეიტას გამოსასყიდი თანხა, 14 მილიონი ევრო გადაუხადა.

გასულ წელს ისევ სევილიიდან „ბლაუგრანამ“ კლემან ლანგლე შეიძინა, რომლის ტრანსფერიც 35 მილიონი ევრო დაჯდა.

გრიზმანმა პირველი კომენტარი გააკეთა:

– მოვიდა დრო მივიღო ახალი გამოწვევა. საბოლოოდ ბარსელონასთან ჩემი გზები გადაიკვეთა. გუნდის მაისურით ერთგულად ვიბრძოლებ. ძალიან ბედნიერი ვარ. იმედი მაქვს, ყველაფერი ისე გამომივა, როგორც აქამდე გამომდიოდა კლუბსა თუ ეროვნულ ნაკრებში. ლა ლიგა, კოპა დელ რეი, ჩემპიონთა ლიგა... ეს კლუბის და ჩემი მიზნებია და მჯერა, ამას მივაღწევთ.

აქ მოსვლა მსურდა და ამ სურვილში ოჯახი გვერდით მედგა. ეს დიდი კლუბია და მინდა, მას დავეხმარო, დარჩეს ასეთად ან უფრო დიდი გახდეს. მოუთმენლად ველოდები ახალ მწვრთნელთან და გუნდთან ერთად მუშაობის დაწყებას. განსაკუთრებით კი ლიონელ მესისთან ერთად ვარჯიში და თამაში მხიბლავს. მაინტერესებს, როგორია ის ყოველდღიურად.

მიუხედავად იმისა, რომ ბარსელონამ გრიზმანის გამოსასყიდი თანხა გადაიხადა, მადრიდის ატლეტიკო მიიჩნევს, რომ ტრანსფერი ჯერ არ დასრულებულა.

გთავაზობთ მადრიდელი კლუბის განცხადებას:

– ანტუან გრიზმანის ადვოკატი ლა ლიგის სათავო ოფისში გამოცხადდა იმისათვის, რომ კონტრაქტი ცალმხრივად გაეწყვიტა. ბარსელონამ კი ფეხბურთელის გამოსასყიდად 120 მილიონი ევრო გადაიხადა.

მადრიდის ატლეტიკოს მიაჩნია, რომ გადახდილი თანხა ფეხბურთელის გამოსასყიდად საკმარისი არაა, რადგან ბარსელონასა და ფეხბურთელს შორის შეთანხმება ჯერ კიდევ მაშინ შედგა, როდესაც გამოსასყიდი თანხა 200 მილიონი ევრო იყო. გამოსასყიდი თანხის შემცირებამდე გაკეთდა ფეხბურთელის მხრიდან განცხადებაც, რომლითაც მან ჩვენი კლუბის დატოვების გადაწყვეტილება გააჟღერა. ეს 14 მაისს მოხდა.

მადრიდის ატლეტიკოს მიაჩნია, რომ კონტრაქტი გაწყვეტა გასული სეზონის ბოლოს მოხდა და შესაბამისად, თავისი უფლებების დასაცავად სამართლებრივი გზების ძებნას უკვე შეუდგა.

მიმდინარე წლის პირველ ივლისამდე გრიზმანის გამოსასყიდი თანხა 200 მილიონი ევრო იყო, პირველი ივლისის შემდეგ კი 120 მილიონამდე შემცირდა. ვინაიდან ბარსელონა და გრიზმანი ივლისამდე შეთანხმდნენ, ამიტომაც ატლეტიკოს მიაჩნია, რომ ბარსამ 200 მილიონი ევრო უნდა გადაიხადოს, იმის მიუხედავად, რომ ანტუანის გამოსყიდვა იმ დღეს მოხდა, როდესაც თანხა 120 მილიონს შეადგენდა.

როგორც ატლეტიკოს მესვეურები აცხადებენ, თუ კლუბმა ასეთი განცხადება გააკეთა, ესე იგი, მტკიცებულებაც აქვთ.

კომენტარი გრიზმანის ადვოკატმაც გააკეთა:

– ანტუანი ატლეტიკოს ხელმძღვანელების მოქმედებებით იმედგაცრუებულია. ისინი იმის საპირისპიროს აკეთებენ, რაც გრიზმანს პირადად უთხრეს. მათ ჰგონიათ, რომ სწორ რამეს აკეთებენ? კარგი, მაშინ, თუ საჭირო გახდა, ჩვენც იმავეს მოვიმოქმედებთ. გრიზმანს, უბრალოდ, უნდა, რომ მისი ტრანსფერი აღნიშნოს ახალ სახლში, კარიერისა და ცხოვრების ახალ ფაზაში.



დე ლიხტი ფურინაში ჩადის

ჰოლანდიური სპორტული გამოცემების ცნობით, მატიას დე ლიხტი იუვეს ფეხბურთელია. ტურინულმა გრანდმა აიაქსთან შეთანხმებას მიაღწია.

ჰოლანდიელი ფეხბურთელი აიაქსს ავსტრიულ შეკრებაზე არ გაჰყვა. სამაგიეროდ, მალე ტურინს ეწვევა და ხელშეკრულებას გააფორმებს.

იტალიურმა მედიამ გამოიკვლია, რა დაჯდა ხმაურიანი გარიგება.

ტრანსფერის მთავარი ავტორი 19 წლის მცველის აგენტი მინო რაიოლა გახლავთ, რომელიც დაახლოებით 10 მილიონ ევროს მიიღებს. ბიანკონერები აიაქსის ბიუჯეტს თავდაპირველად 70 მილიონი ევროთი შეავსებენ, რასაც 5 მილიონი შესაძლო ბონუსებით დაემატება. ტრანსფერის გაწელვის მთავარი მიზეზი ღირებულების შემცირება გახლდათ. ტურინელების პირველმა შეთავაზებამ 50 მილიონს შეადგინა, რომელმაც ეტაპობრივად მოიმატა.

დე ლიხტი 5-წლიან კონტრაქტს გააფორმებს, ხოლო მისი ანაზღაურება წლიურად 12 მილიონი ევრო იქნება.

ჰოლანდიელის გამოსასყიდი თანხა 150 მილიონი ევრო ჩაიწერა.

შედეგები

13 ივლისი

ფეხბურთი

ჩუსეთი. პრემიერლიგა

ურალი-უფა 3:2
სპარტაკი-სოჭი 1:0
როსტოვი-ორენბურგი 2:1

ჩეხეთი. 1 ლიგა

ბანიკი-ლიბერეცი 1:2
პრუიბრჟამი-ტეპლიცე 1:1
პლზენი-სიგმა 3:1

პოლონეთი. სუპერთასი

პიასტი-ლეხია 1:3

ნორვეგია. ელიტსერია

რუსენბორგი-ვიკინგი 5:1
ბოდო გლიმდტი-რანჰეიმი 5:1

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-ელფსბორგი 3:0
ფალკენბერგი-გიოტებორგი 1:1
ესკილსტუნა-კალმარი 3:1

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ჰონკა-ჰიფკი 3:0
სეინეიოკი-ვაასა 1:0

ჩოგბურთი

უიმბლდონის ღია პრიზეობა

ქალები – ფინალი

ჰალეპი-ს.უილიამსი 6:2,6:2

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

დედამ გარდაცვლილი შვილის თვალებზე ცრემლი შენიშნა და კრემაციას გადაარჩინა

ინდოეთის ტელინგანის შტატის სოფელ პილალამარიში 18 წლის ყმაწვილი მას შემდეგ „გაცოცხლდა“, რაც ის ექიმებმა გარდაცვლილად გამოაცხადეს.

გენდამ კირანი საავადმყოფოში მაღალი ტემპერატურითა და პირღებინებით მოათავსეს. ექიმებმა მას ჰეპატიტის მძიმე ფორმა დაუდგინეს. ორი დღის შემდეგ ყმაწვილი უარესად გახდა და ის კერძო საავადმყოფოში გადაიყვანეს. კირანი კომაში ჩავარდა. მალევე ექიმებმა მისი ოჯახის წევრებს განუცხადეს, რომ მისი ტვინი მოკვდა და მისი გადარჩენის შანსი აღარ არსებობდა.

მოწყობილობაზე შეერთებული კირანი ნათესავებმა სახლში წაიყვანეს, რათა მას უკანასკნელად მშობლიურ სახლში ამოესუნთქა. ყმაწვილის კრემაციისთვის მომზადებისას დედამ მის თვალებში ცრემლი შენიშნა. მან დაუყოვნებლივ ექიმი გამოიძახა. ადგილზე მისულმა ექიმმა ახალგაზრდა გასინჯა და განაცხადა, რომ მას გული უცემდა.

კირანი ისევ საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამი დღის შემდეგ ის გონს მოვიდა და დალაპარაკებაც კი შეძლო. კიდევ სამი დღის შემდეგ კირანი საავადმყოფოდან გამოწერეს და ის ამჟამად მკურნალობას სახლში აგრძელებს.

ქალს ნაყიდ ბინაში წყევლის შეეშინდა

ავსტრალიელმა ქალბატონმა იყიდა სახლი, რომლის ეზოშიც უცნაური საგანი იპოვა და ის წყევლად მიიჩნია.

ბრისბენელმა კერი მორანმა ძველი სახლი იყიდა და იქ საცხოვრებლად გადავიდა. რამდენიმე დღის შემდეგ მან ეზოში უცნაური საგანი ამოთხარა – დიდი და მძიმე ბურთულა კუბოს დეკორატიული გამოსახულებით.

ქალმა ჩათვალა, რომ მის მიერ ნაპოვნი საგანი, შესაძლოა, წყევლა ყოფილიყო. მან უცნაური ნივთის ფოტოსურათი სოციალურ ქსელებში გამოაქვეყნა და განაცხადა, რომ მისი ქალიშვილი ამ ნივთს ბნელით მოცულ არტეფაქტს უწოდებს.

კომენტატორებმა ქალს ურჩიეს, ნაპოვნი საგანი დაწვას და ეკზორცისტი გამოიძახოს. ერთ-ერთმა ინტერნეტმომხმარებელმა ივარაუდა, რომ ის, შესაძლოა, ცხოველის ან ადამიანის ფერფლის შესანახი ჭურჭელი იყოს და ამიტომ ისევ მიწაში უნდა ჩაიმარხოს.

ქალმა სხვა კომენტატორების რჩევა გაითვალისწინა, საგანი სახლში დაწვა, ხოლო ეზოში წყევლისგან თავის დასაცავად მიწაზე ძმარი მოასხურა. მორანი სახლის ძველ მფლობელს დაუკავშირდა და მან უპასუხა, რომ მისმა შვილმა რამდენიმე წლის წინ სკოლიდან ეს უცნაური ნაკეთობა მოიტანა. მოსწავლემ ის შრომის გაკვეთილებზე გამოძერწა და გადაწყვიტა, ეზოში დაედგა.

მამაკაცმა სიდრის დალევას თავი დაანება და 63 კილოგრამი დაიკლო

ირლანდიელმა წონაში 63 კილოგრამი მას შემდეგ დაიკლო, რაც უარი თქვა სიდრის დალევაზე, რომელსაც 20 წლის განმავლობაში ლიტრობით სვამდა.

კილდერის საგრაფოს ქალაქ სელბრიჯის მცხოვრებმა დარენ სკენლონმა სმა 18 წლის ასაკიდან დაიწყო, როდესაც მას პირველი შვილი ეყოლა. დროთა განმავლობაში კი ის უკვე რვა ქილა სიდრს სვამდა დღეში.

დასვენების დღეებში ის წვეულებებზე დადიოდა, სადაც 10 ლიტრამდე სიდრს სვამდა.

მას ტკივილები დაეწყო თირკმლებში, პრობლემები დაეწყო ზურგისა და თეძოების არეში. ის იხსენებს, რომ 40 წლის ასაკში 140 კილოგრამს იწონიდა, ხოლო დასვენების დღეებს მთლიანად სმაში ატარებდა.

ყველაფერი 2017 წლის იანვარში შეიცვალა, როდესაც სკენლონმა დამღუპველ ჩვევაზე უარის თქმა გადაწყვიტა და სმას საერთოდ თავი დაანება.

ამის შემდეგ მამაკაცმა წონაში დაკლება დაიწყო და საბოლოოდ 63 კილოგრამი დაიკლო. მას ისე შეუყვარდა ფიტნესი, რომ გადაწყვიტა, სწავლების კურსი გაიაროს და მისი ინსტრუქტორი გახდეს.

საზრიანმა შიმპანზემ ზოოპარკიდან გაქცევის გზას მიაგნო

ჩინეთის პროვინცია ანხოიში შიმპანზემ ზოოპარკიდან გაქცევა ბამბუკის ხის დახმარებით ცადა, მაგრამ ის პოლიციამ დაიჭირა. ამის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

12 წლის შიმპანზემ, სახელად იან იანმა, გადაწყვიტა, თავისი ვოლიერიდან გაქცევა მოეწყო. პოლიციელების თქმით, საზრიანმა ცხოველმა წვიმის შემდეგ წაქცეული ბამბუკით ისარგებლა და ერთ-ერთ შენობაზე აძვრა. კადრებში, ჩანს, თუ როგორ ზის შიმპანზე სახურავზე პოლიციელებით გარშემორტყმული.

ისინი ცდილობდნენ, ცხოველი ისევ გალიაში შეეტყუებინათ სხვადასხვა საკვების გამოყენებით, მაგრამ ამით ვერ შეაცდინეს. გარკვეული დროის შემდეგ შიმპანზეს ტრანკვილიზატორი ესროლეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოახერხეს მისი გალიაში დაბრუნება.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა, თუმცა დაწესებულების ხელმძღვანელობა იძულებული გახდა, დამთვალიერებლის ევაკუაცია განეხორციელებინა და ზოოპარკი დღის ბოლომდე დაეხურა.

სამი გველის ორთაბრძოლა ვიდეოზე გადაიღეს

ინდოეთში ვიდეოზე გადაიღეს სამი გველის დაპირისპირება, რომელიც ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ ჩხუბობს ერთმანეთზე გადახვეული სამი ქვეწარმავალი გზისპირას. ისინი ერთმანეთს რამდენჯერმე გესლავენ, რის შემდეგაც ერთ-ერთი ცდილობს, თავი გაითავისუფლოს და იქაურობას გაეცალოს. უცნობია, თუ რით დასრულდა გველების დაპირისპირება.

საქველმოქმედო ორგანიზაციის დამფუძნებელ სუვენდუ მალიკის თქმით, რეპტილიები ტერიტორიისთვის იბრძოდნენ. ის ფიქრობს, რომ ეს პირველი ასეთი შემთხვევაა ინდოეთში, ვინაიდან ჩვეულებრივ ასეთ შემთხვევებში ერთმანეთს ორი გველი უპირისპირდება. სწორედ ამიტომ მესამე გველის ჩარევა მის გაკვირვებას იწვევს.

სპილომ გოგონა საწოლიდან ხორთუმით აიტაცა და ფეხებით გადათელა

ინდოეთის ორისას შტატის სოფელ მანდასახიში სპილომ შვიდი წლის გოგონა მოკლა, ხოლო მისი ოჯახის წევრები დაასახიჩრა.

გარეული ცხოველი ერთ-ერთ სახლში ღამის საათებში შეიჭრა. სინი მუნდას ძმასთან განეშთან და და რანისთან ერთად ეძინა. ბავშვები სახლში მარტო იმყოფებოდნენ. სპილომ კედლის ნაწილი დაანგრია, სინი ხორთუმით აიტაცა, გარეთ გაიყვანა და ფეხებით გადათელა.

ცხოველის თავდასხმის დროს განეშსა და რანის თავზე კედელი დაეცათ. ორივე კრიტიკულ მდგომარეობაშია. მათ ადგილობრივ საავადმყოფოში აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სიჯანვოხდი



1. იუპიტერის თანამგზავრი; 2. ... ამოს კომენსკი; 3. ფორტი საფრანგეთში; 4. სოლო სიმღერა ოპერაში; 5. ბოლო ნოტი; 6. საგნის კონტური; 7. ესპანეთის საფეხბურთო გუნდი; 8. ... სტრავინსკი; 9. საფეიქრო ბანანი; 10. მთა ყვარლის რაიონში; 11. მოხეტიალე მლოცველი; 12. ზოგი მცენარის ან ცხოველის თავდაცვითი შეგუება გარემოსთან; 13. შაშის სახეობა; 14. სავაზნე ჩანთა; 15. მიკროსკოპის ერთგვარი ობიექტივი; 16. ქალაქი აღმოსავლეთ საქართველოში; 17. კაცო, ბიჭო (ჟარგონი); 18. მოკლე მუსიკალური მისალმება; 19. დაუქორწინებლობა; 20. ქართული გაზეთი; 21. ნუშის ლიქიორი; 22. ქიმიური ელემენტი; 23. კოლხი მედეას დედა; 24. იგივე არეზი (მტკვრის შენაკადი); 25. მდინარე ციმბირში; 26. ... კალნინში; 27. სახელმწიფო ევროპაში; 28. იაპონური თეატრი; 29. ომის უკუსიდიდე (ფიზიკა); 30. ქვემოდან დარტყმა კრიკეტში; 31. უარყოფითი ნაწილაკი; 32. ინდური ეპოსი; 33. ყვავილი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. პასტიჩო; 2. ხევსურეთი; 3. ფეთხაინი; 4. ბრავედა; 5. წიქარა; 9. ტაური; 11. სუფრული; 12. იაკუძა; 14. ქარხანა; 18. აგორა; 19. ფოგტი.

თარაზულად: 4. ბოკაჩო; 5. წერეთელი; 6. ჟესტი; 7. პალიტრა; 8. ასკოტი; 10. ლხასა; 13. ჩაქურა; 15. რატუშა; 16. ნერო; 17. მახა; 20. ხოხობი; 21. ჰაშიში; 22. კარმენი; 23. ტალინი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. იტაიპუ; 2. ზარზმა; 3. იუანი; 5. როქი; 6. ლაქშმი; 8. მიზანი; 11. ენციკლიკა; 13. სინჯარა; 14. სუფიქსი; 15. ფოცხოვი; 19. ნიკე.

თარაზულად: 1. ინკვიზიცია; 4. სუფრული; 7. აგუძერა; 9. ნებიერი; 10. ჩექმა; 12. სპარინგი; 16. კაზემირო; 17. ანაკლია; 18. კინგსტონი; 20. კაქტუსი; 21. მალა; 22. ოპონენტი.

ჰალეპმა სერენა უილიამსი აღაფრთოვანა

სიმონა ჰალეპი პირველი რუმინელი ქალია, რომელმაც უიმბლდონი მოიგო. რუმინელი ქალთა თანრიგის ფინალში ამერიკელ სერენა უილიამსს შეხვდა და 57 წუთში დაამარცხა – 6:2, 6:2.

დასაწყისიდანვე გამოიკვეთა სიმონას უპირატესობა. კორტზე აგრესიულად თამაშობდა და უილიამსის თითქმის ყოველ დარტყმას აბრუნებდა. პირველ სეტში რუმინელი 4:0 დაწინაურდა და საბოლოოდ, 6:2 იმარჯვა. მეორე სეტში 2:2-ის შემდეგ ჰალეპმა სერენას ზედიზედ 2 მოწოდება მოიგო და თამაში პირველივე მატჩ პოინტით დაამთავრა.

სიმონა ჰალეპი:

– სერენა ჩემთვის დიდი სტიმულია. მე ძალიან ბევრი ვიმუშავე, რომ აქ მოვხვედრილიყავი – ამ დღეს არასოდეს დავივიწყებ. ერთხელ დედამ მითხრა, თუკი რამის მიღწევა გსურს ჩოგბურთში, უიმბლდონის ფინალი უნდა ითამაშო. და აი, ეს დღეც მოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ თამაშის წინ ძალიან ვნერვიულობდი, არ არსებობს ამაზე უკეთესი თამაში ჩემს კარიერაში – ყველაფერი გამომდიოდა. ერთი სული მაქვს, როდის დავბრუნდები უიმბლდონზე მომავალ წელს.

სერენა უილიამსი:

– სიმონამ ფანტასტიკურად ითამაშა. როცა მეტოქე ასე თამაშობს, მე მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია – აღფრთოვანებული ვარ. მე კი ბრძოლას ვაგრძელებ, მადლობა ჩემს გუნდს.

მოამზადა მისეილ ჟორჟოლიანმა

ასტროპროგნოზი 15 ივლისისთვის

ვერძი – განიწმინდეთ სულიერად, ეცადეთ, კეთილი საქმეები აკეთოთ. გარშემომყოფებს საშუალება მიეცით, თავიანთი საუკეთესო თვისებები გამოავლინონ. **კურო** – დღე წინასწარ დაგეგმეთ. ყოველგვარი აგრესია გამორიცხეთ. სულიერი წონასწორობა შეინარჩუნეთ. **ტყუპები** – საქმეში არასტანდარტული მეთოდები გამოიყენეთ. შემთხვევით ნაცნობობას თავი აარიდეთ. **კირჩხიბი** – ფინანსური მდგომარეობა რამდენადმე უარესდება. ნებისმიერი საბანკო ოპერაციისაგან თავი შეიკავეთ. **ლომი** – ახალგაცნობილ ადამიანთან კონტაქტი იღლიანი იქნება. მთელი ყურადღება საქმეს დაუთმეთ. **ქალწული** – მაცდურ შემოთავაზებას დაუფიქრებლად ნუ დათანხმდებით. გარისკვა რეკომენდებული არ არის. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა მოგზაურობისათვის, ქალაქგარეთ გასასვლელად. ახალი შთაბეჭდილებები თქვენს ფსიქოემოციურ მდგომარეობაზე დადებითად იმოქმედებს. **ღრიანცალი** – დღის პირველ ნახევარში წვრილმანი საქმეების მოგვარება მოგიწევთ. საყიდლებზე წასვლა სხვა დროისათვის გადადეთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კონფლიქტს გარშემომყოფებთან. ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. **თხის რქა** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. თავი შეიკავეთ ინიციატივის გამოვლენისაგან. **მერწყული** – ნებისმიერი წამოწყება გაამართლებს. შემოსავალი გეზრდებათ. **თევზები** – ზომიერება დაიცავით. სასურველსა და რეალობას შორის ზღვარი გაავლეთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ნინი ქარსელაძეს მამა გარდაეცვალა

მომღერალ ნინი ქარსელაძის მამა ექიმებმა ვერ გადაარჩინეს. თეკუჩა ქარსელაძე კლინიკაში ინსულტის დიაგნოზით გათიშული, აპარატზე შეერთებული იმყოფებოდა. მას არ უმუშავებდა არც ერთი ფილტვი და მართვით სუნთქვაზე იყო.

მედიკოსების მცდელობის მიუხედავად, მომღერლის მამა გარდაიცვალა. ინფორმაცია ნინიმ თავად გაავრცელა:

– როგორ მჯეროდა, როგორ მეგონა, რომ გამოგაძვრენდი. მჯეროდა, რომ ამასაც მოერეოდი. და ისიც მჯეროდა, რომ მე და შენ მოვიგებდით ამ ომს.

ჩემო სიყვარულო, ჩემო იმედო, მამა!

მასტერი ჯარიმებმა დაღალა

მომღერალი მასტერი, გიორგი პავლიაშვილი, ჯარიმებმა დაღალა. მას 100 ქულიდან 45 ქულა დარჩა და, როგორც თავად აცხადებს, მალე მანქანას გააჩერებს:

– პატრულმა გამაჩერა, მოვიდა სასიამოვნო გარეგნობის ულამაზესღიმილიანი გოგონა, ცხოვრებაში პირველად მოვიდა ჩემთან პატრული გოგო. საბუთები მივეცი, გადაამოწმა – ბატონო გიორგი, ღვედი არ გეკეთათო.

12 წამის დაძრული მყავდა მანქანა და ჩვევად მაქვს, რომ ჯერ ვძრავ და მერე ვიკეთებ. ახსნას, ხვეწნა-მუდარას „ახალ პატრულთან“ აზრი არ აქვს. დამიწერა ჯარიმა უბედნიერესად. ასეთი ბედნიერი ადამიანი იშვიათად მხვდება. გულწრფელად ვუსურვებ ამ გოგონას ყველაფერს საუკეთესოს, ღიმილით სავსე დღეებსა და ცხოვრებას ყოველგვარი ირონიის გარეშე.

დამრჩა 45 ქულა. მალე მანქანას გავაჩერებ.

ბუბა კიკაბიძეს რუსეთში კონცერტების ჩატარებაში ამხელენ

მომღერალსა და მსახიობ ბუბა კიკაბიძეს რუსეთში კონცერტების ჩატარებაში ამხელენ.

მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობი ბორის კლუევი ირწმუნება, რომ ვახტანგ კიკაბიძე რუსეთში კორპორატიულ ღონისძიებებზე საიდუმლოდ მღერის და კარგ ჰონორარსაც იღებს.

როგორც რუსმა მსახიობმა ადგილობრივ გამოცემებს განუცხადა, ეს არ არის ჰაერში ნასროლი სიტყვები, არსებობს ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც ამ ყველაფერს დაადასტურებს.

რუსეთში სტუმრობისთვის ბუბა კიკაბიძის მხრიდან ღონისძიებების ორგანიზატორებისთვის მთავარი მოთხოვნაა, მაქსიმალურად გასაიდუმლოებული დარჩეს მისი ვიზიტი და ამის შესახებ არავინ არსად ისაუბროს.

ინფორმაცია ქართველი მომღერლის რუსეთში კონცერტების ჩატარებასთან დაკავშირებით ადრეც გავრცელდა, თუმცა ბუბა კიკაბიძე ყველაფერს კატეგორიულად უარყოფს და აცხადებს, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ რუსეთში აღარ ჩასულა.

თემურ თათარაშვილს საქართველოს მტერს უწოდებენ

მომღერალ თემურ თათარაშვილს საქართველოს მტერს უწოდებენ. ვაგიფ მამედოვმა ეს განცხადება მომღერლის მისამართით მას შემდეგ გააკეთა, რაც თემურ თათარაშვილმა გიორგი გახარიას მოწონების შესახებ „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტთან განცხადება გააკეთა:

– შენ ხარ საქართველოს გაცხადებული მტერი. შენ ხარ რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მხარდამჭერი! – ასე მიმართავს მომღერალს ვაგიფ მამედოვი.

თემურ თათარაშვილი:

– ლაგოდეხში კონცერტის დროს მომივარდა „რუსთავი 2“-ის ჟურნალისტი და ნერვები ამიშალა. მაინტერესებს, მაშინ რატომ არ მოდიან ჟურნალისტები, როდესაც ახალ სიმღერას ვწერ? მივმართავ ყველა ჟურნალისტს, ვინც მიკავშირდება ამ საკითხთან მიმართებით. მეორედ ნუ დამირეკავთ. მე ჩემი აზრი დიდი ხანია მაქვს დაფიქსირებული. გახარია არ უნდა გადადგეს. როცა დასრულდება გამოძიება, მერე გადაწყდება, ვინ უნდა გადადგეს და ვინ უნდა აგოს პასუხი!

ახალგაზრდების მიმართ ჩემი სოლიდარობა კიდევ ერთხელ მინდა გამოვხატო! მე სოლიდარული ვიყავი, ვარ და ყოველთვის ვიქნები იმათ მიმართ, ვინც თავისუფლებისთვის იბრძვის!

რაც შეეხება ჩემს პოზიციას გიორგი გახარიას გადადგომა-არგადადგომაზე, ჩემი განცხადება მიმართულია კონკრეტულად ნაციონალური მოძრაობის მიმართ, რომელსაც, ჩემი აზრით, სურს ქვეყანაში დესტაბილიზაცია და სისხლიანი რეჟიმის დაბრუნება!

ამიტომ მივიჩნიე, რომ გახარია არ უნდა გადადგეს მანამ, სანამ გამოძიება არ დაადგენს, არის თუ არა ის დამნაშავე სახელმწიფო ინსტიტუციების დაცვისას კონკრეტულ გადაცდომებში და ამ გადაცდომებში თუ მისი პასუხისმგებლობა გამოიკვეთა, მაშინ მას ისედაც მოუწევს გადადგომა, მიუხედავად იმისა, ვინ უჭერს მას მხარს და ვინ – არა.

სწორედ ამ პოზიციის გამო მოიცალა ჩემთვის ნაციონალურმა მოძრაობამ. პარტიული დავალებით მომიგზავნეს ჟურნალისტი, რომელიც ყველანაირად ეცადა, პარტიის დავალება შეესრულებინა და გამოვეყვანე წყობიდან. კონცერტის მშვიდად ჩატარების უფლებას არ მაძლევდა. ბევრი თხოვნის მიუხედავად, მაინც გამომტყუა ემოციური ტექსტი, რომელიც შემდეგ გამოიყენეს ნოდარ მელაძის გადაცემაში ცილისწამებით, აგრესიითა და მტრის ხატად გამოყვანის კონტექსტით შეფუთული!

ჩემი ჟურნალისტებთან კარგი ურთიერთობა საყოველთაოდ ცნობილია. ყველას მიმართ ვარ კომუნიკაბელური და გახსნილი და ეს კარგად იციან ჟურნალისტებმა, ვისაც ოდესმე შეხება ჰქონია ჩემთან.

აშკარა მცდელობაა, რომ ჩემგან, ადამიანისგან, რომელიც არასდროს ჩავრეულვარ პოლიტიკაში, არასდროს არავისთვის არაფერი დამიშავებია, თუ რამე დავაშავე, ისევ საკუთარ თავს დავუშავე, მთელი ცხოვრება ვმღერი საქართველოსთვის, ახლა უნდათ მტრის ხატის შეთითხნა! არავის აქვს უფლება, ჩემგან, როგორც საქართველოს მოქალაქისგან და ხელოვანისგან, გამოიყვანოს მტერი, რომელიც თითქოს უპირისპირდება ახალგაზრდობას და ამართლებს მათზე ძალადობას!

რაც შეეხება ჩემს „ბარიგობას“, რაზეც ახლა ჭორიკნობენ ზოგიერთები, თვით ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებამ, რომელმაც გამასამართლა, ვერ დამდო ბრალი „ბარიგობაში“. სასჯელი მოვიხადე ნარკომოხმარებისთვის და მას შემდეგ ცხოვრებაში აღარასდროს გავკარებივარ ნარკოტიკებს! ვინც ამას დღეს ტირაჟირებს, არის საშინელი ცილისმწამებელი! ჩვენმა ხალხმა ძალიან ბევრი იბრძოლა, რომ თავისუფალ ქვეყანაში გვეცხოვრა და ყველას ჰქონოდა საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება! ამიტომ ნაცმოძრაობის აქტივისტებსა და ტროლებს ვთხოვ, თავი დამანებონ და მომცენ საშუალება, მქონდეს საკუთარი აზრი!

ნათია ბანძელაძე გოგიჩაზე: „მაინც მატირა. ყველა გვატირა“

ჟურნალისტი ნათია ბანძელაძე მეუღლეს, მსახიობსა და წამყვანს გიორგი გოგიჩაიშვილს ემოციური ჩანაწერით დაემშვიდობა:

„მაინც მატირა. ყველა გვატირა.

18 წლიდან ერთად ვიზრდებოდით, მან მასწავლა სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, როგორ შეიძლებოდა, მტერი არ გყოლოდა, როგორ უნდა გყვარებოდა, რომ უსულო საგნებსაც სტკიოდათ და უხაროდათ, ჭიანჭველა რომ არ უნდა მომეკლა, იმიტომ, რომ ის შვილისთვის შაქრის მიტანას ცდილობდა.

როგორ არ შეიძლებოდა, ჩემს ლექსიკაში ყოფილიყო სიტყვა „მეზიზღება“. 30 წელი ჩვენი ზღაპრული, ზღაპრული სამყაროს გმირი იყო, რომელიც დაუნდობელი სამყაროსგან გიცავდა ისე, რომ ბოროტსაც მაინც კეთილად დაგანახებდა.

ჩემი სიკეთის სხივი, დიდი პატარა ბავშვი არასდროს გაიზარდა და უცებ, არასდროს რომ არ გავბუტულვართ, შუა თამაშში მიმატოვა. რატომ?

რა საშინელი სიცივეა იცი, გიო, მიყვარხარ. ჩემი სიკეთის სხივი, რომელმაც ყველა ჩვენგანი გაათბო! მადლობა თითოეულ თქვენგანს, ვინც ამ არაჩვეულებრივი, მზით სავსე, დიდი პატარა ბავშვის სიცოცხლის წამის მეასედიც კი მაჩუქეთ ამ ბრძოლაში.

მხეცს შეუყვარდა, ბრძოლა მე წავაგე. მაგრამ ღირსეულად ვატარებ ამ ტვირთს და შენი წესებით ვიცხოვრებ, არ ინერვიულო, რაა. მიყვარხარ!“

თბილისში რესტავრაციას კიდევ ერთი შენობა შეეწირა

თბილისში ავთენტური კაზმულობის პენოპლასტის ელემენტებით ჩანაცვლებით კიდევ ერთი შენობა განადგურდა.

ინფორმაცია და ფოტოები გიორგი მარგიშვილმა გაავრცელა:

– უფლება-მოვალეობა-პასუხისმგებლობის ფაქტიური არარსებობის სავალალო სურათი, კვლავ გიზიარებთ ერთი სახლის ბედს, მისამართი ტატიშვილის ჩიხისა და ბარნოვის II ჩიხის გურგულიას კვეთა.

ავთენტური კაზმულობის პენოპლასტის ელემენტებით ჩანაცვლება, გარდა საბიუჯეტო სახსრების ფლანგვისა, ფულის კეთებისა, თუ კიდევ რამეს ემსახურება, გთხოვთ, შემისწოროთ. ფული ჯანდაბას, ეს ხომ ჩვენი დღევანდელი საზოგადოების კულტურის რღვევის ამსახველი სურათია.

ესაა საყოველთაო „ჩემს კომპეტენციაში არაა“-ს შედეგი. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბარბაროსობის თანამონაწილეები მშენებლები, მუშები, ადგილობრივი მცხოვრებლები, გამგეობა და გულგრილი თანამოქალაქეები ვართ, ცოდვა კი მაინც თბილისის მერიის კისერზეა.

მაინც მინდა დავიჯერო, რომ დაღმართს აღმართი მოჰყვება.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ათეულობით მომაკვდავი თუთიყუში სკოლასთან ჩამოვარდა

ავსტრალიის ქალაქ ადელაიდაში, დაწყებითი სკოლის მახლობლად, ციდან 60 მომაკვდავი ფრინველი ჩამოვარდა.

რამდენიმე დღის წინ 60-მდე ჭკუიდან გადასულმა კორელას ჯიშის თუთიყუშმა დაიწყო ციდან ჩამოვარდნა გულისწამღები ჭყივილით. ყველა მათგანს ნისკარტიდან სისხლი სდიოდა.

ინციდენტი სკოლის ეზოში მოსეირნე ბავშვების თვალწინ მოხდა. მასწავლებლების თქმით, ისინი სამწუხარო სანახაობით დაითრგუნნენ. ერთ-ერთმა მასწავლებელმა ფრინველების გადარჩენის ადგილობრივ ცენტრში დარეკა და მომხდარის შესახებ აცნობა. შემთხვევის ადგილზე ორინტოლოგი სარა კინგი მივიდა, ფრინველები დაათვალიერა და დაასკვნა, რომ ისინი მოწამლეს.

– 47 წლის ვარ, ბევრი რამ მინახავს, მაგრამ ამის ნახვამ, განსაკუთრებით თუთიყუშების გულისწამღებმა ჭყივილმა ამატირა. ვერ წარმომიდგენია, რა რეაქცია ექნებოდათ ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ ბავშვებს, – აღიარა კინგმა. ორინტოლოგმა აღნიშნა, რომ 27 წლის მუშაობის განმავლობაში მსგავსი არაფერი უნახავს.

ჯალეიდოსკოპი

ზვიგენების ჩხუბი ვიდეოზე გადაიღეს

მეცნიერებმა ვიდეოზე გადაიღეს ორი თეთრი ზვიგენის ორთაბრძოლა, რომლებიც ასევე კაციჭამია ზვიგენების სახელით არიან ცნობილი.

ვიდეოჩანაწერში ჩანს, თუ როგორ ჭამს ერთი ზვიგენი ნავის მახლობლად გადაგდებულ სატყუარას, შემდეგ კი თავს ესხმის დაახლოებით 3,7 მეტრი სიგრძის თანამოძმეს. სხეულით უფრო მომცრო ზვიგენს ამ თავდასხმის შედეგად ორი დიდი ჭრილობა დარჩა.

მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რათა შეესწავლათ, თუ როგორ იქცევიან გარეული არსებები ბუნებაში. ავსტრალიის კვლევითი ცენტრის პროფესორმა მარკ მიკანმა განაცხადა, რომ ყველა ზვიგენი თავს ესხმის და ჭამს თანამოძმეს.

– ეს, უბრალოდ, ერთი აგრესიული ზვიგენი არ არის, რომელიც სხვა ზვიგენებს ესხმის თავს. ეს ასევე ერთი სისხლისმსმელი ზვიგენის სახეობა არ არის, – განმარტავს მიკანი.

მიწისქვეშ ჩავარდნილი სამი წლის ბავშვი ცოცხალი გადარჩა

ინგლისის ეროვნულ პარკ პიკ დისტრიკში ბავშვი ვიწრო, ექვსმეტრიან ორმოში ჩავარდა და ცოცხალი გადარჩა.

ცოლ-ქმარი ლუიზა და მარკ ტაკეტები სოფელ ჰატერსეჯის მახლობლად პარკში შვილებთან, ერთი წლის ელასთან, სამი წლის სემთან და ექვსი წლის ოსკართან ერთად სეირნობდნენ. ბიჭები წინ გაიქცნენ და უცბად ერთ-ერთი ორმოში ჩავარდა.

– მე და ჩემმა მეუღლემ ერთმანეთს შეშინებულებმა გადავხედეთ, – იხსენებს 36 წლის ქალი. მათ ახლოს მიირბინეს და ნახეს, რომ სემი 40 სანტიმეტრი სიგანისა და დაახლოებით 6 მეტრის სიღრმის ორმოში იყო ჩავარდნილი.

40 წლის მარკმა ბავშვი ორმოდან ამოიყვანა, ხოლო ლუიზამ სამაშველო ჯგუფი გამოიძახა. ბიჭს სისხლი სდიოდა და ტიროდა. მამამ შვილი უახლოეს გზამდე მიიყვანა და იქ 15 წუთში სასწრაფო დახმარების მანქანა მივიდა. ბავშვი სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მის გადარჩენაში 10-ზე მეტი ექიმი მონაწილეობდა. ექიმების თქმით, ბავშვის მდგომარეობის დასტაბილურება მხოლოდ რვა საათის შემდეგ მოახერხეს.

ორმოში ჩავარდნის შედეგად სემმა თავის სერიოზული ტრავმა მიიღო და ხელი მოიტეხა. მან სწრაფად დაიწყო გამოჯანმრთელება და ლაპარაკიც შეძლო. სემმა საავადმყოფოში ხუთი დღე გაატარა, რის შემდეგაც სახლში გაწერეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

15 ივლისისთვის

აშშ დოლარი — 2.8513

ევრო — 3.2094

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5727

100 რუსული რუბლი — 4.5215

ამინდის პროგნოზი 15 ივლისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

9 ივლისიდან

ჯეიმს ფონიმორ კუპერი

ჯაშუში

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

16 ივლისიდან

ელეონორ პორტერი

პოლიანა

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

ქალმა 75 წლის წინ დაკარგული საფულე იპოვა

ამერიკის ილინოისის შტატის ერთ-ერთ სკოლაში 15 საფულე იპოვეს, რომლებიც თითქოსდა 75 წლის წინ იყო მოპარული. ამის შესახებ ეკლესიის მსახურმა სეტ ბალცელმა ფეისბუქში საკუთარ გვერდზე დაწერა.

– ჩვენ ქალაქ სენტრალიას საშუალო სკოლის შენობას ვათვალიერებდით და მივაგენით სამალავს, სადაც ეწყო საფულეები, რომლებიც, ჩვენი აზრით, 1940-იან წლებში მოიპარეს, – ამბობს ბალცელი, – ქურდმა მხოლოდ ფული ამოიღო, საბუთები, ფოტოსურათები და სხვა ნივთები კი ხელუხლებლად დატოვა.

ღვთისმსახურმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ ეკლესია, რომელშიც თავად მსახურობს, ყოფილი სკოლის შენობაში აპირებს გადასვლას.

ბალცელმა ჩამოთვალა ნივთების იმ მფლობელების სახელები და გვარები, რომელთა იდენტიფიცირება საბუთების წყალობით მოხერხდა. მალე მისმა გამოქვეყნებულმა ინფორმაციამ ვირუსული პოპულარობა მოიპოვა და სამი ათასზე მეტი გაზიარება და ასეულობით კომენტარი მიიღო.

მალევე მამაკაცს 89 წლის ბეტი ჯუნ სისომი დაუკავშირდა, რომელმაც გამოქვეყნებულ სიაში საკუთარი სახელი ამოიკითხა.

– მახსოვს, პატარა ვიყავი, ჩემი წითელი საფულე რომ დავკარგე. ვერ დამიჯერებია, რომ ის იპოვეს, ამდენი წელი გავიდა მას შემდეგ, – აღნიშნა პენსიონერმა ქალბატონმა.

ჯუნ სისომს საფულის პოვნა ძალიან გაუხარდა, ვინაიდან მასში მისთვის სამახსოვრო ფოტოსურათები ინახებოდა.

ბალცელის თქმით, ჯუნ სისომის გარდა, მას დაკარგული ნივთების კიდევ ხუთი მფლობელი დაუკავშირდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

•••

დაკითხვაზე:

– აგვიხსენით, როგორ გადიოდა თანხები ოფშორულ ზონაში.

– ფულები ხედავდნენ, რაც ხდებოდა ქვეყანაში და თავად გადიოდნენ.

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– რატომაა, რომ ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ?

– იმიტომ, რომ ცოლი არ ჰყავთ.

•••

ხანგრძლივი მივლინებიდან სახლში დაბრუნებული მამაკაცი ხედავს, რომ ჭიშკარზე აწერია: „ფრთხილად, ეზოში ავი ძაღლია!“

მან ცოლს დაუძახა და ეკითხება:

– ძვირფასო, დედაშენი დიდი ხნითაა ჩამოსული?

•••

მთვრალი ქუჩაში ქალს ეკითხება:

– შეგიძლია, სახლის გზა მაჩვენო?

– შემიძლია.

– და საიდან იცი, სად ვცხოვრობ? ჩემი მეზობელი ხარ?

– მოკეტე, შე ლოთო, შენი ცოლი ვარ!

•••

ქალი კაცს ეუბნება:

– თქვენ, მამაკაცები, ისეთი უხეშები ხართ. თქვენ მხოლოდ სექსი გინდათ! ჩვენ კი, ქალებს, ყურადღება გვჭირდება...

– ყურადღება, ახლა იქნება სექსი!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

კანარის კუნძულების პლაჟები მედუზების გამო დაიხურა



კანარის კუნძულებზე საკურორტო პლაჟები შხამიანი მედუზების ნამდვილი შემოსევის გამო დახურეს.

სახიფათო ზღვის არსებები კუნძულ ლანსაროტის პლაია დე ფარმას სანაპიროზე შენიშნეს. წყალში ასზე მეტი შენიშნეს და მათი რაოდენობა იზრდება.

მედუზის სახეობა უცნობია, პრესა მას „მისტიურს“ უწოდებს. ისინი სხეულს მტკივნეულად სუსხავენ და მათი კბენისგან ადამიანს კიდურები ერთმევა.

გარდაცვლილი ქალი ბავშვის გაჩენაში დაეხმარა

ამერიკის ოჰაიოს შტატში ქალმა პირველად გააჩინა ბავშვი გარდაცვლილი დონორის საშვილოსნოს გადანერგვის შემდეგ.

მეცნიერებმა დაღუპული ქალის საშვილოსნო გამოიყენეს ექსპერიმენტის დროს, რომელშიც ათმა ქალმა მიიღო მონაწილეობა. ყოველ მათგანს საშვილოსნოს უნაყოფობა სჭირს. მკვლევრებმა გადაწყვიტეს გაერკვიათ, შეუძლიათ თუ არა გარდაცვლილებს, საშვილოსნოს დონორები გახდნენ. 2015 წელს, როდესაც პროექტი დაიწყო, ქირურგებმა ხუთი გადანერგვა განახორციელეს, რომელთაგან სამი წარმატებით დასრულდა.

ერთ-ერთი ასეთი ტრანსპლანტაციის შედეგად მიმდინარე ნლის ივნისში აშშ-ში დაიბადა ბავშვი. ამ დროისთვის კიდევ ორი ქალი ელოდება ემბიონის გადანერგვას, ხოლო კიდევ რამდენიმე ორგანოს ტრანსპლანტაციის რიგში დგას.

როგორც წესი, საშვილოსნოს დონორები ცოცხალი ადამიანები ხდებიან. მეცნიერები დარწმუნებულები არიან, რომ მათი აღმოჩენა უნაყოფობის მკურნალობის ალტერნატიული საშუალება გახდება.

მამაკაცები გასართობად კუზე ამხედრდნენ

ინდონეზიაში ადგილობრივებმა იშვიათი სახეობის კუ დაიჭირეს და რიგრიგობით მოასხდნენ ზურგზე. მომხდარის ამსახველი ვიდეოჩანაწერით ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა დაინტერესდა.

კადრებში ჩანს, თუ როგორ აჯდება ზურგზე ხანში შესული მამაკაცი ზღვის დიდ კუს და ცდილობს, მასზე ამხედრებულმა გაისეირნოს. მის გვერდით კიდევ ერთი ადგილობრივი დგას, რომელიც ცხოველს აწვება. გარკვეული დროის შემდეგ კიდევ სამი ადამიანი ამხედრდა კუზე. საბოლოოდ ცხოველი წყალში შევიდა, თუმცა ადამიანები მას მაინც არ ეშვებიან. ადგილობრივ ხელისუფლებას ჯერჯერობით მომხდარზე კომენტარი არ გაუკეთებია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი



თარაზულად: 6. რვიანის ფორმის ფუნთუშა; 7. ქვემეხი დახრილი ტრაექტორიით სროლისთვის; 8. ქრომის მინერალური საღებავი; 9. სახალხო კრება ძველ საბერძნეთში; 10. სოფელი ყვარლის რაიონში; 13. შოტლანდიური ვისკი; 15. რისამე საზომი, ნიშან-თვისება; 18. სინათლის ძალის ერთეული; 20. სწორის აღმნიშვნელი წინსართი; 21. ხეებზე გასაბმელი ნაქსოვი საწოლი; 23. ატომგულის გამოსაკვლევი დანადგარი; 24. მოედანი სასწავლო-საწვრთნელი სროლისთვის.

შვეულად: 1. ენათმეცნიერების ნაწილი; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული; 3. საგნის დასამაგრებელი ხელსაწყო მისი დამუშავების დროს; 4. პერიოდულად შრობადი მდინარე ან ნაკადული ავსტრალიაში; 5. მცირე ხმა; 11. ქცევის თავისებურება; 12. სამელექტროდიანი ელექტრონმილაკი; 14. ვიოლინოზე დიდი ოთხსიმიანი საკრავი; 16. აშშ-ის მეორმოცე პრეზიდენტი; 17. უმაღლესი (მილოვანი) მცენარეების სხეული უფესვებოდ; 19. გერმანელი მწერალი (1729-1781); 21. იაპონური ავტომარკა; 22. მღვდელი საფრანგეთში.

შეადგინა ოლივერ კოხიამ

ХАН ЧАН ЗАН + МА ИН ДОН

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ



ЖИЗАН ЗИ ЗАН

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

ВУИ ФУ ДИ ЖУАНВ ЗАН + СУН САО

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/